# ვინ ავა EURO ეიფელზე?

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

13 ივნისი ორშაბათი 2016

№ 114 (14 848) ფასი 1 ლარი


# მადლობა ღმერთს, რომ არსებობს ფეხბურთი!

## რამდენიმე საათი ყოველდღიური ფორიაქის დასავიწყებლად, თუმცა არც ფეხბურთია დაცული ბოროტებისგან



2-9

## კარგი თამაში, არც ერთი 0:0, სუპერგოლები და ძალადობა ქუჩებსა და ტრიბუნებზე

გაზეთ „სანის“ ცნობით, რუსი „ქომაგების“ დამრტყმელ ძალას ცსკა-სა და სპარტაკის ფანები შეადგენენ, რომლებიც საგანგებოდ მოემზადნენ სპეციალურ ბანაკებში

# შერი, ზომერი და სამი ქულა

## ევროდებიუტი - ძმა ძმის წინააღმდეგ

*** ალბანეთის ნაკრებს დებიუტი ჰქონდა ევროპის ჩემპიონატებზე.**

*** ევრო 2016-ზე პირველი გაძევებული ფეხბურთელი ალბანელი ლორიკ ცანაა.**

*** პირველად ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ერთმანეთის წინააღმდეგ ითამაშეს ძმებმა - ალბანელმა ტაულანტ ჯაკამ და შვეიცარიელმა გრანიტ ჯაკამ.**

*** შვეიცარიის ნაკრების 11 სასტარტო ფეხბურთელიდან 5-ს ალბანური (კოსოვური) ფესვები აქვს.**

*** ალბანეთის ნაკრების 11 სასტარტო ფეხბურთელიდან 4 დაბადებულია და გაზრდილია შვეიცარიაში.**

*** ალბანეთის ნაკრებს შვეიცარიასთან უკვე 7 მატჩია ვერ მოუგია.**

*** ცანას გაძევება ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში უსწრაფესებში მეხუთე ადგილზეა. ეს 37-ე გაძევებაა ევროპის ჩემპიონატებზე.**

*** ფაბიან შერმა ნაკრებში 21 თამაშში 6 გოლი გაიტანა, რაც მცველისთვის დიდებული შედეგია.**

**დებიუტანტ ალბანეთთან მატჩში შვეიცარიის ნაკრებმა სავსებით დაიმსახურა გამარჯვება, მაგრამ ბოსნიელი ვლადიმირ პეტკოვიჩის გუნდი კინაღამ დაისაჯა იმის გამო, რომ მეტოქე ბოლომდე არ დაჩაგრა. ფინიშამდე სამიოდე წუთით ადრე შკელზენ გაში მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ შვეიცარიელთა მეკარემ სასწაული ჩაიდინა.**




ფაბიან შერმა გამარჯვების გოლი გაიტანა

**11 ივნისი.**
**სტად გოლარ-დელელისი**

**ალბანეთი-შვეიცარია 0:1**

**გოლი:** 0:1 შერი (5. შაქირი)

**ალბანეთი (4-3-3):** ბერიშა - ჰიუსაი, ცანა, მავრაი, აგოლი - აბრაში, კუკელი, ტ. ჯაკა (62. კაჩე) - როში (74. ციკალეში), სადიკუ (82. გაში), ლენიანი

**შვეიცარია (4-2-3-1):** ზომერი - ლიხტშტაინერი, შერი, ჯურუ, როდრიგესი - ბეჰრამი, გ. ჯაკა - შაქირი (88. ფერნანდეში), ჯემაილი (76. ფრაი), მეჰმედი (62. ემბოლო) - სეფეროვიჩი

**გაფრთხილება:** ცანა, კაჩე, კუკელი, მავრაი - შერი, ბეჰრამი

**გაძევება**: ცანა (36)

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 10-17; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 7-17 (2-7); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 33 805

### ტაქტიკა და სასტარტო შემადგენლობები

ამ მატჩში შვეიცარია აშკარა ფავორიტი იყო. **პეტკოვიჩის** გუნდმა 4-2-3-1 სქემა აირჩია, ცენტრფორვარდად **ჰარის სეფეროვიჩი** ირჯებოდა, რომელმაც ოთხჯერ გამოსცადა **ბერიშა**, მაგრამ ალბანელთა გოლკიპერმა ოთხჯერვე მოუგო ფორვარდს დუელი. **შაქირი-ჯემაილი-მეჰმედის** ტრიოს უკან **ბეჰრამი** და **გრანიტ ჯაკა** ირჯებოდნენ. კარგი იყო ჯემაილი, რომლის საჯარიმო დარტყმაც პირველ ტაიმში ძელმა აისხლიტა. აქტიურობდნენ დაცვის ფლანგის მოთამაშეები, **ლიხტშტაინერი** და **როდრიგესი**.

ალბანეთმა 4-3-3 აირჩია, **სადიკუს** მარცხნიდან **ლენიანი** ეხმარებოდა (იგი საკმაოდ აქტიურიც იყო და ხშირად ცდილობდა დრიბლინგით ფონს გასვლას), ხოლო მარჯვნიდან - **როში**. **ტაულანტ ჯაკა** შუახაზში ირჯებოდა და ძმასთან, გრანიტთან დუელი ხშირად უხდებოდა.

მეორე ტაიმში პეტკოვიჩმა საფეხბურთო სამყაროს თინეიჯერი **ბრელ ემბოლო** გააცნო. კამერუნული წარმოშობის ფორვარდი მართლაც იმსახურებს ცალკე აღნიშვნას, მან ნახევარ საათშიც კი კარგად წარმოაჩინა თავისი პოტენციალი. აი, ალბანელთა რიგებში შეცვლაზე შესულ **გაში** კი, რომელიც აშშ-ში თამაშობს, სულაც ერის გმირობა შეეძლო, ბოლო წუთებზე **ზომერისთვის** რომ ეჯობნა.

შვეიცარიის ნაკრები კომბინაციურ, შემტევ ფეხბურთს თამაშობდა. ალბანელთა ტაქტიკა კი შორეულ პასებზე და ელვისებურ კონტრშეტევებზე იყო აგებული. გამარჯვებულ გუნდში უფრო დატვირთული იყო მარცხენა ფლანგი, სადაც უფრო ხშირად რიკარდო როდრიგესი და **ადმირ მეჰმედი** (მერე ემბოლო) მოქმედებდნენ.

### გოლი

**0:1** - მე-5 წუთზე ჯერდან შაქირიმ კუთხური მოაწოდა, ბერიშა უაზროდ გამოვიდა წინ და **ფაბიან შერმა** ლამის ცარიელ კარში გაიტანა თავური. ეს იყო ბერიშას ერთადერთი შეცდომა მატჩში, მაგრამ საბედისწერო.

### მატჩის მერე

**ჯანი დე ბიაზი** (ალბანეთი): *„კარგი სტარტი ძალიან გვჭირდებოდა, მაგრამ ეს არ გამოგვივიდა. დებიუტანტები ვიყავით და თავიდან დიდ ზეწოლას ვგრძნობდით, პირველი ოცი წუთი ცუდად ვითამაშეთ. როცა გოლს უშვებ, კიდევ უფრო რთულდება საქმე. მატჩის მთავარი მომენტები გოლი, გაძევება იყო, რომელიც, სამწუხაროდ, სამართლიანი გახლდათ და გაშის მომენტი იყო. დღეს ბედი არ გვწყალობდა“.*

**ვლადიმირ პეტკოვიჩი** (შვეიცარია): *„ემოციებს კარგად ვაკონტროლებდით. ვფიქრობ, პირველი ოცი წუთი უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე შემდეგში. მას მერე, რაც ალბანეთი ათი კაცით დარჩა, ჩვენ ბევრი მომენტი გავანიავეთ“.*

ევროპის ჩემპიონატზე პირველად - ძმა ძმის წინააღმდეგ

### მატჩის გმირი

უეფას ოფიციალურმა საიტმა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად „არსენალის“ ახალწვეული გრანიტ ჯაკა დაასახელა, რომელმაც მართლაც ბევრი იშრომა საყრდენის პოზიციაზე. უმცროს ჯაკასთან ბოდიში, მაგრამ ჩვენ მატჩის გმირად იან ზომერს დავასახელებთ, რომლის ანგარიშზე სულ ორი „სეივია“, მაგრამ გაშის მან, პირისპირ გასვლისას, მატჩის მიწურულს აუღო და შვეიცარიას ორი ქულა წყალში არ ჩაუყარა. ასე რომ, სამიდან ორი ქულა პირადად „გლადბახის“ 27 წლის გოლკიპერის დამსახურებაა. ასევე დიდებული იყო მისი პირველი „სეივი“ 31-ე წუთზე, როცა სადიკუს საგოლე დარტყმა არანორმალური რეაქციის გამოვლენით აუღო. ჩვენი გმირიც ის არის.

### მსაჯი

ესპანური ბრიგადა **ველასკო კარბალიოს** ხელმძღვანელობით, ხშირად სცოდავდა, თუმცა მატჩის შედეგზე ამ მცირე შეცდომებს გავლენა არ მოუხდენიათ და ესეც კარგია. ლორიკ ცანა გასაძევებელი იყო, რადგან მეორე ეპიზოდში მართლაც განზრახ ითამაშა ხელით.

### დასკვნა

საბოლოო ჯამში, მოიგო იმან, ვისაც უნდა მოეგო. შვეიცარიის ნაკრები ობიექტურად უფრო ძლიერი გუნდია და ამ შეხვედრაშიც უკეთესი იყო და დამსახურებულად გაიმარჯვა. ვინ იცის, რა მოხდებოდა, პირველივე ტაიმში ალბანელთა კაპიტანი **ლორიკ ცანა** რომ არ გაეძევებინათ, რადგან ფაქტია, ბოლოსკენ ალბანეთის ნაკრებმა მოუმატა და მეტოქის ნახევარსაც გაუთამამდა.

**whoscored.com-ის ტოპ-5**

| | | |
|---|---|---|
| ფაბიან შერი | შვე. | 8,6 |
| ჯერდან შაქირი | შვე. | 8,1 |
| იან ზომერი | შვე. | 7,7 |
| გრანიტ ჯაკა | შვე. | 7,7 |
| ეტრიტ ბერიშა | ალბ. | 7,6 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 2. შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 4. ალბანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

**II ტური**

**15 ივნისი**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-შვეიცარია | 20:00 |
| საფრანგეთი-ალბანეთი | 23:00 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მარსელის ბრძოლა

## რუსეთს და ინგლისს დისკვალიფიკაცია ემუქრებათ?

ინგლისისა და რუსეთის მატჩი არც უხეში იყო და მშვიდობიანი ანგარიშითაც (1:1) დასრულდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ძალიან არასასიამოვნო ფაქტები ტრიბუნებსა და ქუჩებში მოხდა. ინგლისელი ქომაგების „ხულიგნობის“ ამბავი კარგად არის ცნობილი, მაგრამ ამჯერად რუსებმა „იყოჩაღეს“, ჩხუბისთავობა ითავეს.

როგორც ამბობენ, რუსები ყალბ ვებგვერდს აყვნენ, რომელიც ახლა უკვე დაბლოკილია და რომელზეც იწერებოდა, რომ ინგლისელი ფანები რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინსა** და დოპინგის ხმარების გამო, დისკვალიფიცირებულ ჩოგბურთელ **მარია შარაპოვას** აყენებდნენ შეურაცხყოფას.

გარდა ამისა, რუსეთის ნაკრების ჰიმნისას ინგლისელი ფანების ნაწილი უსტვენდა.

ასეა თუ ისე, ის რაც მარსელში ხდებოდა, ძალიან უსიამოვნო და მძიმე სანახავი ჩანდა და რაც ყველაზე ცუდია, სამართალდამცავები ფაქტობრივად უმოქმედონი იყვნენ. ამაზე პრესაც წერს, თვითმხილველებიც ამბობენ და კადრებშიც ჩანს. უკვე მწარე კომენტარებიც მოვისმინეთ, მათ შორის ფეხბურთელებისა და ცნობილი ადამიანების - საფრანგეთი ISIS-ის წინააღმდეგ ბრძოლას ასეთი არაკვალიფიციური სამართალდამცავებით აპირებსო?

მარსელი ერთ-ერთი პრობლემური ქალაქია და არცთუ შორეულ წარსულშიც ყოფილა შეხლა-შემოხლები. ასე რომ, უსაფრთხოების ზომები და ნორმები უფრო მაღალ დონეზე უნდა იყოს დაცული. სავარაუდოდ, ამ ინციდენტების მერე ამას კიდევ უფრო დიდი ყურადღება მიექცევა.

რუსების აგრესიულ ქცევას, არაერთი ინგლისელი ფანის დაშავება მოჰყვა, რომლებიც ჰოსპიტალში აღმოჩდნენ. ერთის მდგომარეობა ძალიან მძიმეა. უეფამ გამოძიება უკვე დაიწყო და რუსებს სასჯელი არ აცდებათ, შესაძლოა, დისკვალიფიკაციაც.

*„უეფასგან აუცილებლად დავისჯებით. ჩვენ არასწორად მოვიქეცით“* - განაცხადა რუსეთის სპორტის მინისტრმა **ვიტალი მუტკომ**.

**გიორგი კაკაბაძე**

# სპეცოპერაცია სტად დე ფრანსზე და ჟირესის მოკითხვა საქართველოს

**თენგიზ პაჭკორია**
**პარიზიდან**

**სათაური არავის უნდა გაუკვირდეს - ევროპის ჩემპიონატის გახსნა „სტად დე ფრანსზე“, საფრანგეთი-რუმინეთის მატჩამდე და შემდგომ ჩატარებული ღონისძიებები იქ მყოფი ადამიანებისთვის სპეცოპერაციას უფრო ჰგავდა, ვიდრე დიდ საფეხბურთო ზეიმს.**

ყველას კარგად ესმის, რომ უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები საჭირო იყო გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ ფორმა და მეთოდი დისკომფორტს უქმნიდა სტადიონზე მისულთ. სტადიონზე შესვლის მრავალეტაპიანი და გრძელრიგიანი პროცედურა იმდენად დამღლელი იყო, რომ ბევრს უკარგავდა სიხარულის გრძნობას ევრო-2016-ზე მონაწილეობის გამო.

ამას დაემატა პრობლემები კვების ობიექტებზე - გრძელი რიგები და მწირი რაციონი. მაყურებელთა და ჟურნალისტთა უმრავლესობა მატჩზე 3-4 საათით ადრე მოვიდა. ქართველი ჟურნალისტები ბევრად ადრე ვიყავით სტადიონზე.

პირველი უსიამოვნო სიურპრიზიც მედიაცენტრში ყოფნის დროს - 4 საათით ადრე -ასზე მეტ ჟურნალისტს დაცვის თანამშრომლებმა დაატოვებინეს მედიაცენტრის ოთახები და სთხოვეს პატარა დერეფნებში გასვლა, რადგან სპეციალურად განვრთნილი ძაღლებით ამოწმებდნენ ყოველ კუთხე-კუნჭულს. კითხვაზე - ხომ შეიძლებოდა ჟურნალისტების მოსვლამდე მედიაცენტრის შემოწმება? - მიპასუხეს, მართალი ხართ, მაგრამ ასე მოხდა სამწუხაროდო. თავად ჟურნალისტები სტადიონსა და მედიაცენტრში შესვლამდე ხომ რამდენიმეჯერ გაგვსინჯეს და ეს გასაგებიც იყო. საშინლად მუშაობს მედიაკაფეც.



რაიმონ დომენეკი და თენგიზ პაჭკორია „სტად დე ფრანსზე“
ხათუნა გაბიტაშვილის ფოტო

ამას ყველაფერს იმიტომ ვწერ, რომ მკითხველებმა იცოდნენ, რა ხდებოდა მატჩამდე და რა ხასიათის პრობლემები ჰქონდათ მაყურებლებს და ჟურნალისტებს. უფრო მეტი ორგანიზაციული ხარვეზი იყო ფანზონის გახსნაზე ეიფელის კოშკთან მარსის ველზე... ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი კი ძალიან ლამაზი და შინაარსიანი გამოვიდა.

მის დაწყებამდე პრესლოჟაში საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელ **ალენ ჟირესს** შევხვდი. მან იქვე მყოფ საფრანგეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ **რაიმონ დომენეკს** უთხრა ხმამაღლა: *"კარგად მახსოვს საქართველო, ქართველების სითბო, ისიც, რომ ბევრ ღვინოს სვამენ და ლამაზი სუფრა აქვთ, კარგად მახსოვს ქართული სიტყვა "თამადა" - ეს განსაკუთრებული თანამდებობაა"* .

ფრანგები ძალიან გახარებული იყვნენ მატჩის შედეგით, მთელი ღამე ქუჩებში მღეროდნენ, ცეკვავდნენ და სვამდნენ. რუმინელები (5-6 ათასი ადამიანი) ძალიან მოწყენილი იყვნენ. მათ მითხრეს, რომ საქართველოს ჰყავს ძალიან ძლიერი სარაგბო ნაკრები, ამით უნდა იამაყოთო. ერთ-ერთმა ფანმა კი მორიდებით გვკითხა - ფეხბურთში ბოლო წლებში დიდი კრიზისი გაქვთ და როდის გამოასწორებთო? ხუმრობით ვუპასუხე, რადგან ესპანეთს მადრიდში მოვუგეთ, ესე იგი უკვე დაიწყო წინსვლა თქო და ორივემ ერთად გავიღიმეთ.

ევრო 2016. A ჯგუფი. საფრანგეთი-რუმინეთი

დიმიტრი პაიემ საფრანგეთს ბოლოსწინა წუთზე მოუტანა გამარჯვება

10 ივნისი. სენ დენი.
„სტად დე ფრანსი“

**საფრანგეთი-რუმინეთი 2:1**

**გოლები:** 1:0 ჟირუ (57. პაიე), 1:1 სტანკუ (65-პენ), 2:1 პაიე (89. კანტე)

**საფრანგეთი (4-3-3):** ლორისი - სანია, რამი, კოსიელნი, ევრა - პოგბა (77. მარსიალი), კანტე, მატუიდი - გრიზმანი (66. კომანი), ჟირუ, პაიე (92. სისოკო)

**რუმინეთი (4-3-3):** ტეტერუშანუ - სეპუნარუ, კირიკეში, გრიგორე, რაცი - სტანჩუ (72. კიპჩუ), ჰობანი, პინტილიი - პოპა (82. ტორჟე), ანდონე (61. ალიბეკი), სტანკუ

**გაფრთხილება:** ჟირუ - კირიკეში, რაცი, პოპა

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 6-13; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 14-10 (5-2); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 80 100

# პაიეეეეეეეეეეე!

## საფრანგეთი იწყებს და იგებს

*** ევრო 2016 ახალი წესის გამოყენებით დაიწყო, სასტარტო დარტყმა ჟირუმ უკან შეასრულა, რაც აქამდე აკრძალული იყო.**

*** ოლივიე ჟირუმ ბოლო 6 სანაკრებო მატჩში 8 გოლი გაიტანა.**

*** ბოგდან სტანკუმ რუმინეთის ნაკრებში მე-10 გოლი გაიტანა, პირველი პენალტის ნიშნულიდან.**

*** კინგსლი კომანი გახდა საფრანგეთის ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვინც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა - 19 წლისა და 362 დღის.**

*** საფრანგეთის ნაკრების რეკორდი „სტად დე ფრანსზე“ - 22 მოგება, 8 ფრე და 3 წაგება.**

*** დიმიტრი პაიე პირველი ფრანგია ტიერი ანრის შემდეგ, ვინც ერთ მატჩში გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც შეასრულა ევროპის ჩემპიონატზე . ანრიმ ეს 2000 წელს შეძლო ჩეხეთის წინააღმდეგ.**

*** 16 წლის შემდეგ საფრანგეთი პირველი მასპინძელია, ვინც ევროპის ჩემპიონატის გახსნის მატჩში მოიგო. 2000 წელს ეს ბელგიამ მოახერხა.**

**ვინმეს რომ თამაშამდე ეთქვა, არ დავიჯერებდი, რომ მატჩის გმირი გავხდებოდიო - ამბობდა სიხარულისგან აცრემლებული დიმიტრი პაიე გამარჯვების შემდეგ. გახსნის მატჩში სწორედ მისი და არა ფრანგთა უფრო მეტად „გაპიარებული“ ვარსკვლავების ბენეფისი ვიხილეთ - საგოლე პასი და გამარჯვების გოლი, თანაც, რა გოლი!**

### ტაქტიკა და სასტარტო შემადგენლობები

4-3-3-ს ველოდით **დეშამისგან** და არ ველოდით **იორდანესკუსგან**. დეშამი დაცვის ცენტრში **ადილ რამის** ენდო, რომელიც **ლორან კოსიელნის** შეუწყვილა და არც შემცდარა. **კანტე-მატუიდი-პოგბას** სამეული შუა ხაზში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეასკდა **სტანჩუ-ჰობანი-პინტილიის** სამეულს. ორივე გუნდი ცდილობდა ბურთის მაშინვე დაბრუნებას, თუკი კარგავდა, მეტოქეები ერთმანეთს სივრცეებს არ უტოვებდნენ. ვფიქრობთ, ამ დუელში ფრანგებმა იმიტომ იმარჯვეს, რომ **დიმიტრი პაიე** სიღრმიდან უტევდა და შუახაზში მასპინძლებს რიცხობრივ უპირატესობას უქმნიდა. ფრანგებისთვის კვლავ სუსტ წერტილად დარჩა მეტოქეთა სტანდარტულები, დეშამის გუნდი გოლების ლამის ნახევარს სწორედ სტანდარტულებიდან უშვებს, კოსიელნი ევროს დაწყებამდე გვპირდებოდა, რომ საფრანგეთის ნაკრები ამ ნაკლს გამოასწორებდა, მაგრამ...

მეორე ტაიმში შეცვლებით ორივე მწვრთნელმა გადააწყო თამაში - იორდანესკუმ ფლანგელი **კიპჩუ** შეიყვანა და **სტანკუ** გასული სტანჩუს ადგილზე დააყენა. დეშამის გადაწყვეტილება უფრო თამამი იყო, მან პოგბა მოხსნა თამაშიდან და ერთბაშად ოთხი შემტევით გააგრძელა თამაში. ამ შემთხვევაში **ჟირუ** უფრო გამოკვეთილი ცენტრფორვარდი გახდა. თუმცა გამარჯვება დეშამს ტაქტიკამ კი არა, პაიეს ინდივიდუალურმა ოსტატობამ მოუტანა.

### გოლები

**1:0** - 57-ე წუთზე დიმიტრი პაიემ საჯარიმოში ჩააწოდა, ოლივიე ჟირუ **დრაგოშ გრიგორეს** დაუძვრა და წინ გამოსულ **ჩიპრიან ტეტერუშანუს** საჰაერო დუელი მოუგო და ევრო 2016-ის პირველი გოლი გაიტანა.

**1:1** - 64-ე წუთზე აქტიური ნიკოლაე სტანჩუ ფრანგთა საჯარიმოში შეიჭრა, **პატრის ევრამ** მას ფეხი გამოსდო. პენალტი უნაკლოდ შეასრულა ბოგდან სტანკუმ.

**2:1** - 89-ე წუთზე ნ´გოლო კანტემ დიმიტრი პაიე მოძებნა, რომელმაც შორეული, ულამაზესი დარტყმით „ცხრიანში“ გაიტანა და საფრანგეთის ნაკრებს სამი ქულა მოუტანა.

### მატჩის მერე

**დიდიე დეშამი** (საფრანგეთი): *„კარგია, რომ მოვიგეთ, ჩვენ ვიცოდით, რომ რუმინელებთან იოლი გასეირნება არ გველოდა. საგოლე შანსები გვქონდა, თუმცა ასევე ჰქონდა შანსები მეტოქესაც. ბოლოს მოედანზე ოთხი შემტევი მყავდა, რადგან მხოლოდ მოგება მაკმაყოფილებდა. გახსნის მატჩი იოლი არასოდესაა. მინდა შევაქო კანტე, ხოლო პოგბა კიდევ უფრო უკეთ ითამაშებს“.*

**ანგელ იორდანესკუ** (რუმინეთი): *„ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ და ბევრი მომენტიც გვქონდა. გავიხსენოთ თუნდაც სტანკუს დარტყმული თამაშის დასაწყისში. ბიჭებმა ჩემი სათამაშო გეგმა კარგად შეასრულეს, ძალიან ორგანიზებულად თამაშობდნენ, თუმცა იყო დასანანი შეცდომები მოედნის ცენტრში. ძალიან მტკივნეულია ასეთი მატჩის წაგება. ვაღიარებ, გადამწყვეტი გოლი უბრალოდ საოცარი იყო. ასეთ გოლს მხოლოდ უმაღლესი კლასის ფეხბურთელი თუ გაიტანს. პირველ გოლზე ტეტერუშანუმ მითხრა, რომ მას ეუხეშნენ, მე კი მისი მჯერა“.*

### მატჩის გმირი

უეფას ოფიციალურმა საიტმა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დიმიტრი პაიე დაასახელა და ჩვენც ვეთანხმებით მას. „ვესტ ჰემისა“ და საფრანგეთის ნაკრების 29 წლის შემტევმა ჯერ ჟირუს გაატანინა, შემდეგ კი მატჩის ბოლოსწინა წუთზე ულამაზესი დარტყმით გუნდს გამარჯვება მოუტანა. გოლი და საგოლე პასიც რომ არა, მაინც მას დავასახელებდით საუკეთესოდ, რადგან ფრანგთა თითქმის ყველა საგოლე შანსი პაიეს პასებს, სტანდარტულებს, დრიბლინგებსა თუ დარტყმებს მოჰყვა.

### მსაჯი

**ვიქტორ კასაის** და მის გუნდს საშუალო შეფასებას მივცემდით - იყო წვრილ-წვრილი შეცდომები - არდანიშნული ჯარიმები, ტყუილად დანიშნული თამაშგარე. ოდნავ საეჭვო იყო, რამდენად სუფთად მოუგო ჟირუმ მეკარე ტეტერუშანუს საჰაერო დუელი გოლისას და ვფიქრობთ, ლმობიერად მოეპყრა კასაი რუმინელთა კაპიტან **კირიკეშს**, რომლისთვისაც მეორე ყვითელი ბარათის ჩვენება შეიძლებოდა, კასაიმ კი კირიკეში არც დააჯარიმა.

### დასკვნა

საფრანგეთის ნაკრებმა მნიშვნელოვანი ქულები მოიპოვა, დიდიე დეშამის გუნდის რამდენიმე წევრმა მაღალ დონეზე ითამაშა, რამდენიმეს შესაძლებლობა კი კარგად ვიცით და ისიც ცხადია, რომ შემდეგ მატჩებში, წესით, უნდა მოუმატონ **გრიზმანმა**, მატუიდიმ და პოგბამაც. ასე რომ, დიახ - საფრანგეთი ფავორიტია!

**whoscored.com-ის ტოპ-5**

| | | |
|---|---|---|
| **დიმიტრი პაიე** | **საფ.** | **9,7** |
| **ნ'გოლო კანტე** | **საფ.** | **7,7** |
| **ვლად კირიკეში** | **რუმ.** | **7,4** |
| **ნიკოლაე სტანჩუ** | **რუმ.** | **7,3** |
| **ბლეზ მატუიდი** | **საფ.** | **7,2** |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მატჩამდე იყო ევრო 2016-ის გახსნის შოუ

# ბოლო წამების დრამა ველოდრომზე

## ჰოჯსონის ავ-კარგიანი დასაწყისი

* ინგლისის ნაკრების სასტარტო შემადგენლობის საშუალო ასაკი 25 წელი და 293 დღე გახლდათ. ეს ინგლისელთა ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდული თერთმეტეულია ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში.

* ერიკ დაიერი "ტოტენჰემის" მე-8 ფეხბურთელია, რომელმაც დიდ ტურნირზე ინგლისის მაისურით გოლი გაიტანა. ეს ყველა სხვა კლუბზე უკეთესი შედეგია.

* 2006 წელს ეკვადორის კარში დევიდ ბექჰემის მიერ გატანილი გოლის მერე, დაიერი პირველი ფეხბურთელია, რომელმაც ინგლისისთვის პირდაპირ ჯარიმიდან შეაგდო (იგულისხმება ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატი).

* დაიერს "ტოტენჰემში" ჩატარებულ 65 მატჩში ჯარიმის დარტყმა არც ერთხელ უცდია.

* ჰარი კეინი მეტოქის საჯარიმოში ბურთს არც ერთხელ არ შეხებია.

* ევროპის ჩემპიონატზე ჩატარებულ ბოლო 16 მატჩში რუსეთს კარი მშრალად მხოლოდ ორჯერ აქვს შენახული.

ინგლისი-რუსეთი 1:1

11 ივნისი. მარსელი.
"ველოდრომი"

**ინგლისი-რუსეთი 1:1**

**გოლები:** 1:0 დაიერი (73), 1:1 ვ. ბერეზუცკი (92. შჩენნიკოვი)

**ინგლისი (4-3-3):** ჰარტი - უოკერი, კეჰილი, სმოლინგი, როუზი - ალი, დაიერი, რუნი (78. უილშირი) - ლალანა, სტერლინგი (87. მილნერი), კეინი

**რუსეთი (4-2-3-1):** აკინფეევი - სმოლნიკოვი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, შჩენნიკოვი - გოლოვინი (77. შიროკოვი), ნოიშტედტერი (80. გლუშაკოვი) - სმოლოვი (85. მამაევი), კოკორინი, შატოვი - ძიუბა

**გაფრთხილება:** კეჰილი - შჩენნიკოვი

**კარში დარტყმა:** 16-6 (6-2) **კუთხური:** 6-4 **თამაშგარე:** 6-2 **ჯარიმა:** 9-16 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 62 343

ასეთი უცნაური ან გნებავთ, განსხვავებული ინგლისის ნაკრები დიდი ხანია, არ გვინახავს. ზოგი მიიჩნევს, რომ ეს მომავლის გუნდია და 2-4 წელიწადში დალვინებული იქნება. თუმცა ბევრი ინგლისელებს ამჟამადაც ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად თვლის. როი ჰოჯსონის ბიჭებს ცუდად ნამდვილად არ უთამაშიათ და წესით, მოგებაც ეკუთვნოდათ, მაგრამ რაღაც მაინც დააკლდათ... მარილი ან... ვარდის სურნელი.

### ტაქტიკა და სასტარტო შემადგენლობები

**როი ჰოჯსონმა** მინდორზე ისეთი შემადგენლობა გამოიყვანა, როგორიც **ალან შირერს** სურდა. ერთი სხვაობით, შირერის ნაკრებში **ვარდი** ძირითად შემადგენლობში იყო, მაგრამ გამოცდილმა სპეციალისტმა ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით თამაში ვერ გარისკა და წინ მხოლოდ **ჰარი კეინი** გაამწესა, რომელსაც ფლანგებიდან **რაჰიმ სტერლინგი** და **ადამ ლალანა** ეხმარებოდნენ. სამაგიეროდ, ნახევარდაცვაში ახალგაზრდებს მისცა გასაქანი და კაპიტან **უეინ რუნის დელე ალი** და **ერიკ დაიერი** შეუამხანაგა. დაცვის ცენტრში კი **სმოლინგი-კეჰილის** წყვილი ვიხილეთ, **სტოუნსის** დაყენება მისტერ როიმ საჭიროდ არ ჩათვალა.

საქმე ცუდად არ მიდიოდა. მართალია, მკაცრები თუ ვიქნებით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ კეინმა მატჩი ჩააგდო, მაგრამ სამაგიეროდ, ლალანა დაძვრებოდა და გოლის გატანის შანსებიც ჰქონდა, მაგრამ ინგლისელების პრობლემა ის იყო, რომ პირდაპირ იქ ურტყამდნენ, სადაც **იგორ აკინფეევი** იდგა. რუსების მეკარე კი შეცდომას არ უშვებდა. მეტიც, ერთხელ აკინფეევმა რუნის ურთულესი ბურთიც აულო.

სტერლინგის აქტიურობას შედეგი ნაკლებად მოჰქონდა და რაჰიმმა ბურთიც დაკარგა რამდენჯერმე. მიუხედავად ამისა, ჰოჯსონმა იგი მინდორზე 87-ე წუთამდე დატოვა.

ჩანაფიქრი შემდეგში იყო - სხარტ და ტექნიკურ სტერლინგს რუსთა არც ისე სწრაფი და ვეტერანი მცველები უნდა დაექანცა.

**ლეონიდ სლუცკიმ** კი ის გააკეთა, რაც შეეძლო. მას გარკვეული საკადრო პრობლემებიც აქვს და ალბათ, იდეალური შემადგენლობითა და ტაქტიკით ითამაშა. რუსების სქემა ფურცელზე 4-2-3-1 გახლდათ, მაგრამ რეალურად 4-5-1-ს უფრო ჰგავდა. **არტიომ ძიუბა** ფაქტობრივად უბურთოდ იყო, და ვერც **ოლეგ შატოვი** აქტიურობდა ჩვეულად. რუსეთი მაქსიმალურად ფრთხილად, დაცვიდან თამაშობდა, მათ შორის, გაშვებული ბურთის მერეც. რეალური მომენტი სლუცკის ბიჭებს ბოლო წამებამდე არ ჰქონიათ, მაგრამ ერთბურთიანი ჩამორჩენა მათ მაინც იმედიანად ტოვებდა და საბოლოოდ, თავისას მიაღწიეს კიდეც.

ისე, შირერი ვახსენეთ და ალანს გაუჩნდა კითხვა, თუ რატომ ასრულებს კუთხურებს კეინი - ჰარი კუთხურების დროს საჯარიმოში იყოს ხოლმე, ყველასთვის უკეთესი იქნებაო.

### გოლები

**1:0** - 73-ე წუთზე საჯარიმოს ხაზთან დანიშნული ჯარიმის დარტყმა მოულოდნელად, ერიკ დაიერმა ითავა და თურმე ამას მიზეზი ჰქონია. ახალგაზრდა ნახევარმცველმა უძლიერესი გასროლილით "გახვრიტა" აკინფეევი, რომელსაც ბურთმა გვერდზე კი ჩაუარა, მაგრამ დარტყმა იმდენად ძლიერად განხორციელდა, რომ რუსთა გოლკიპერის გამტყუნება არ გამოგვივა.

**1:1** - მეორე დამატებულ წუთზე ინგლისელთა კართან კუთხური დაინიშნა, რომელიც ინგლისელებმა თითქოს მოიგერიეს, მაგრამ შეტევა გაგრძელდა და **შჩენნიკოვის** ჩაწოდების მერე, რუსთა კაპიტანმა **ვასილი ბერეზუცკიმ** საჰაერო ბურთი ბრძოლაში მოიგო და შორეულ კუთხეში ჩაუშვა, **ჯო ჰარტი** უძლური იყო.

### კომენტარები

**როი ჰოჯსონი** (ინგლისი): *"როდესაც ფინიშამდე წუთით ადრე უშვებ, ცხადია, ძალიან გულდასაწყვეტია. კარგად ვითამაშეთ და ვიგებდით კიდეც, მაგრამ გავუშვით და ეს ფრე წაგებასავითაა, რადგან უკვე ზეიმისთვის ვემზადებოდით. ერთადერთი მონაკვეთი, როდესაც რეალურად აგვერია თამაში, მეორე ტაიმის პირველი 15 წუთი გახლდათ, სხვა მხრივ, თამაშს მთლიანად ვაკონტროლებდით და სამწუხაროა, რომ ვერ ვიმარჯვეთ".*

**ლეონიდ სლუცკი** (რუსეთის ნაკრები): *"ჩემმა ფეხბურთელებმა გუნდურად ითამაშეს მებრძოლი სული გამოიჩინეს და ამ რთულ შეხვედრაში ქულა ავიღეთ, რაც მშვენიერია. ინგლისი დომინირებდა და ვიცოდით, რომ მეტოქე შემტევ და აგრესიულ ფეხბურთს შემოგვთავაზებდა. გარდა ამისა, ინგლისი მსოფლიოში ერთ-ერთი უსწრაფესი გუნდია. რთული იყო, მაგრამ სასურველ შედეგს მივაღწიეთ. ნაკრების ახალმა სახეებმა რომან ნოიშტედტერმა და ალექსანდრ გოლოვინმა იმ ხარისხის ფეხბურთი აჩვენეს, რომელიც ევროპის ჩემპიონატზეა საჭირო".*

### მატჩის გმირი

მართალია, "ტოტენჰემის" ფეხბურთელის გოლი მოსაგებად საკმარისი არ გამოდგა, მაგრამ ერიკ დაიერი სხვა მხრივაც შეუდარებელი გახლდათ. ამ შემთხვევაში, უეფასა და ჩვენი ვერსია მატჩის საუკეთესო ფეხბურთელთან დაკავშირებით თანხვედრაში მოდის. ერიკი მრავალმხრივი მოთამაშეა და თავი იმდენად კარგად წარმოაჩინა, რომ დიდი ალბათობით, ძირითად შემადგენლობაში ადგილს შეინარჩუნებს. კიდევ ერთი მოთამაშე, რომელიც განსაკუთრებულ გამორჩევას იმსახურებს, დაიერის თანაკლუბელი **კაილ უოკერია**, ვინც ძალიან აქტიური და მწვავე გახლდათ, იგი მუდმივად შეტევებში ერთვებოდა და თამამად და ტექნიკურად თამაშობდა.

### მსაჯი

იტალიელ **ნიკოლა რიცოლიზე** და მის ბრიგადაზე სათქმელი ბევრი არაფერია. არბიტრებთან პრეტენზია წესით, არც ერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს.

### დასკვნა

ინგლისს დიდი ტურნირების პირველი მატჩის კარგად ჩატარება, როგორც წესი, უჭირს ხოლმე. ამ ახალგაზრდულმა და სახეცვლილმა ნაკრებმა ევრო 2016-ის პირველი შეხვედრა საკმაოდ კარგად ჩაატარა, მაგრამ უფრო პირველი ტაიმი და მეორე ნახევრის 20-25-წუთიანი მონაკვეთი. ჰოჯსონმა შემადგენლობასა და ტაქტიკას უნდა გადახედოს და ჯეიმი ვარდის მისცეს შანსი. ნახევარდაცვაში ალი-დაიერი-რუნის სამეულმა თავი კარგად წარმოაჩინა. თუმცა ალი პირველ ტაიმში ძალიან აქტიური გახლდათ, მეორეში კი ნაკლებად და აქაც არის სხვა ვარიანტები, როგორც **ჯეიმს მილნერის** დაყენება, ასევე წინ სხვა შემტევის გამოჩენა და ადამ ლალანას ცოტა უკან დახევა. თავის შანსს დაელოდება **დანიელ სტარიჯიც** და ვუნდერკინდი **მარკუს რაშფორდიც**. პოტენციალი ინგლისელებს ნამდვილად აქვთ, მთავარია როგორ გამოიყენებენ მას.

**whoscored.com-ის ტოპ-5**

| | | |
|---|---|---|
| ვასილი ბერეზუცკი | რუს. | 7,9 |
| ერიკ დაიერი | ინგ. | 7,9 |
| კაილ უოკერი | ინგ. | 7,7 |
| კრის სმოლინგი | ინგ. | 7,4 |
| უეინ რუნი | ინგ. | 7,4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 2. რუსეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 3. ინგლისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 4. სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |

**II ტური**

**15 ივნისი**

რუსეთი-სლოვაკეთი 17:00

**16 ივნისი**

ინგლისი-უელსი 17:00

**გიორგი კაკაბაძე**

ელვა.GE
გამოიწერეთ გაზეთი **ლელო**
და ისარგებლეთ ადგილზე მიტანის
**უფასო მომსახურებით**
დაგვიკავშირდით:
2 38 26 73; 2 38 26 74
ELVA.GE წიგნების და პრესის ხელმოწერის კომპანია

11 ივნისი. ბორდო.
„მატმიუ ატლანტიკი“

**უელსი-სლოვაკეთი 2:1**

**გოლები**: 1:0 ბეილი (10), 1:1 დუდა (61. მაკი), 2:1 რობსონ-კანუ (81. რემზი)

**უელსი (3-5-2):** უორდი - ჩესტერი, ე. უილიამსი, დევისი - განტერი, ალენი, ედვარდსი (69. ლედლი), რემზი (88. რიჩარდსი), ტეილორი - ჯ. უილიამსი (71. რობსონ-კანუ), ბეილი

**სლოვაკეთი (4-5-1)**: კოზაჩიკი - პეკარიკი, შკრტელი, დიურიცა, შვენტო - ჰროშოვსკი (60. დუდა), კუცკა, ჰამშიკი, ვაისი (83. სტოხი), მაკი - დიურიში (59. ნემეცი)

**გაფრთხილება**: - ჰროშოვსკი, მაკი, ვაისი, კუცკა, შკრტელი

**კარში დარტყმა**: 11-13 (8-2) **კუთხური**: 2-3 **თამაშგარე**: 0-3 **ჯარიმა**: 17-16 **ბურთის ფლობა**: 44%-56%

**მაყურებელი**: 37 831

**გარეთ ბეილმა უელსის ნაკრების პირველი გოლი გაიტანა ევროპის ჩემპიონატებზე**

# არა მხოლოდ ბეილით ერთით

## დებიუტანტის დუელი ბორდოში

*** გარეთ ბეილმა ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში უელსელთა პირველივე ზუსტი დარტყმით გაიტანა გოლი.**

*** საინტერესოა, რომ ბეილმა პირველი სანაკრებო გოლი ასევე სლოვაკეთს გაუტანა 2006 წლის ოქტომბერში.**

*** დუდამ გოლი მინდორზე შემოსვლიდან 52 წამში გაიტანა. ეს ევროპის ჩემპიონატზე შეცვლაზე შემოსული ფეხბურთელის მიერ გატანილი ყველაზე სწრაფი გოლია 2004 წლის შემდეგ. ესპანეთის ხუან კარლოს ვალერონმა რუსეთს მინდორზე გამოსვლიდან 39 წამში გაუტანა.**

*** უელსს ბოლო 5 მატჩში მინიმუმ ერთი გოლი აქვს გაშვებული (ამხანაგური შეხვედრების ჩათვლით). ეს ამ ნაკრების ყველაზე ცუდი სერიაა 2013 წლის მერე.**

*** აარონ რემზიმ ნაკრებში ჩატარებულ უკანასკნელ 3 მატჩში 3 გოლში მიიღო მონაწილეობა (2 გოლი, 1 პასი).**

*** დებიუტანტი უელსი გახდა პირველი ბრიტანული გუნდი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატებზე საწყისი მატჩის მოგება შეძლო.**

**ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტებმა, უელსმა და სლოვაკეთმა სპეციალისტებისა და ბუკმეკერების პროგნოზის საპირისპიროდ, უხვგოლიანი მატჩი შემოგვთავაზეს. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მარეკ ჰამშიკმა შესანიშნავი სოლორეიდი შემოგვთავაზა და სულ ცოტათი არ გაუმართლა, რამდენიმე ფეხბურთელის მოტყუების მერე, მან მეკარესაც აჯობა, მაგრამ „სონიკის“ დარტყმა კარის ხაზიდან დევისმა გამოიტანა. არადა, ამ თანაბარ წყვილში პირველი გოლის ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საბოლოოდ, სწორედ იმან მოიგო, ვინც გაიტანა კიდეც პირველი ბურთი.**

### ტაქტიკა და სასტარტო შემადგენლობები

კრის კოულმენს სამივე წამყვანი მოთამაშე მწყობრში ჰყავდა - დაცვაში კაპიტანი **ეშლი უილიამსი**, წინ კი **აარონ რემზი** და **გარეთ ბეილი**. უელსელები, თითქოს, უფრო შეტევაზე ორიენტირებული შემადგენლობითა და ტაქტიკით იყვნენ მინდორზე. აქედან გამომდინარე, არც არის გასაკვირი, რომ თავიდან უელსელები უფრო აქტიურობდნენ.

**იან კოზაკმა** კი თავიდან დიდი სიფრთხილე გამოიჩინა, იგი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გახლდათ კონცენტრირებული და პირველ ტაიმში მეტოქის დაზვერვაზე ფიქრობდა. გამოკვეთილი ფორვარდი **მიხალ დიურიში** თითქოს, დანარჩენი გუნდისგან მოწყვეტილი იყო. სლოვაკები **ვლადიმირ ვაის უმცროსის**, **რობერტ მაკისა** და **მარეკ ჰამშიკის** იმედად იყვნენ, რომლებიც ნახევარდაცვაში ფუსფუსებდნენ და სიღრმიდან ცდილობდნენ გამწვავებას.

მთავარი კი ის იყო, რაც მეორე ტაიმში მოხდა და ის ცვლილებები, რომლებიც მწვრთნელებმა გააკეთეს. კოზაკის ნაბიჯებმა შედეგი აშკარად გამოიღო და რაღაც მონაკვეთში სლოვაკები მშვენივრად ათამაშდნენ.

კოულმენს რამე უნდა ექნა და მან ჯერ **ლედლი** შეიყვანა, რომელმაც ერთი თვის წინათ ფეხი მოიტეხა, მერე კი **რობსონ-კანუ** გამოუშვა და ეს მძიმე შემტევი ისე მსუბუქად და სასარგებლოდ ჩაერთო თამაშში, რომ ბევრს შეიძლება ვერც წარმოედგინა.

სტუმართა რიგებში ცვლილებაზე გამოსულ კიდევ ერთ მოთამაშეს **ადამ ნემეცს** ასევე შეეძლო გატანა და ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა. აი, რეაქტიული **მიროსლავ სტოხის** შემოშვება კი კოზაკს ცოტა დაუგვიანდა. მომავალ მატჩს ის სავარაუდოდ ორი თავდამსხმელით დაიწყებს ან დიურიშის ნაცვლად ძირითადში სხვა იქნება, ანაც ორივე ერთად. უკან დასახევი გზა მაინც აღარ არის.

### გოლები

**1:0** - სიმბოლურია, რომ უელსის დებიუტი ევროპის ჩემპიონატზე პირველი გოლით ამ ფორმაციის ნაკრების მთავარმა სუპერვარსკვლავმა გარეთ ბეილმა აღნიშნა. მე-10 წუთზე მადრიდის „რეალის“ შემტევმა საჯარიმო დარტყმა თითქოს ჩვეულებრივად შეასრულა, მაგრამ **კოზაჩიკი** შეცდა, რატომღაც თავისი კუთხე მიატოვა, ნაბიჯი არასწორი მიმართულებით გადადგა და მერე გვიანი იყო.

**1:1** - დუდა მინდორზე წუთის შესულიც არ იყო (61-ე წუთზე), როდესაც მაკი რამდენიმე ფეხბურთელში გაძვრა და მას უპასა. დუდამაც ძალიან ჭკვიანურად ითამაშა და გამოზომილი დარტყმით მოძრაობაზე დაიჭირა უელსელთა გოლკიპერი **უორდი**.

**2:1** - 81-ე წუთზე რემზიმ საჯარიმოს მისადგომებთან კარგად იფაფხურა, თითქოს, შეტევის გაგრძელებას თავად აპირებდა, მაგრამ იქვე მყოფი რობსონ-კანუ დაინახა და ბურთი მას დაუთმო. ჩემპიონშიპის „რედინგის“ თავდამსხმელმაც იღბლიანად დაარტყა და უელსს მოაგებინა.

### მატჩის შემდეგ

**კრის კოულმენი** (უელსი): *„ შესანიშნავი გამოცდილებაა. ჩვენთვის ეს სიახლე გახლდათ - ჩვენი პირველი ტურნირი. ზუსტად არ ვიცოდით, რას დავლოდებოდით. საუცხოო ატმოსფეროში გვინევდა თამაში, ორივე ნაკრების ფანებმა მოინდომეს. მშვენიერი, ფიზიკური ორთაბრძოლებით დატვირთული მატჩი გამოვიდა, ფანტასტიკური 3 ქულა მოვიპოვეთ. ზოგჯერ ცვლილებებს აკეთებ და ამას შედეგი მოაქვს, ზოგჯერ კი - არა. ბურთი უფრო წინ უნდა „აგვეტანა“ და ჰალი (რობსონ-კანუ) ამისთვის შემოვიყვანე. ამის წყალობით, ჩვენმა მცველებმა დაახლოებით 15-20 მეტრით ამოწევა შეძლეს. გამარჯვების გოლიც გავიტანეთ და შესაძლოა, კიდევ ერთი ან ორი უნდა გაგვეტანა, მაგრამ მთლიანობაში ბრწყინვალედ ვითამაშეთ“.*

**იან კოზაკი** (სლოვაკეთი): *„წაგება ყოველთვის მტკივნეულია, მით უმეტეს, ევროპის ჩემპიონატზე. ვიცოდი, რომ ვინც პირველ გოლს გაიტანდა, იმ გუნდისთვის ეს დიდი უპირატესობა იქნებოდა. თანაც, უელსს ძალიან კარგად ორგანიზებული დაცვა ჰყავს და პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, მაგრამ მეორე ტაიმში უკეთ ავთამაშდით. ფლანგის მცველებსაც მითითება მივეცი შეტევაში მეტად ეაქტიურათ. გათანაბრება შევძელით და ამის მერე ორივე გუნდი მოსაგებად თამაშობდა. მეტოქეს ცოტათი უფრო გაუმართლა. გოლების თავიდან არიდება თავისუფლად შეგვეძლო, მაგრამ ეს ფეხბურთია“.*

### მატჩის გმირი

მსგავს თანაბარ მატჩებში თითოეულ პატარა დეტალს დიდი მნიშვნელობა აქვს და ის, რაც „ტოტენჰემის“ მცველმა **ბენ დევისმა** მატჩის დასაწყისში გააკეთა, როდესაც **ჰამშიკის** დარტყმის მერე, ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. შესაძლოა, ეს გარდამტეხი მომენტიც გახლდათ. დევისმა მთელი მატჩის განმავლობაში დამაჯერებელად და მშვიდად ითამაშა, რაც თითქმის, სრულყოფილ სურათს ქმნის. არც უეფას ვებ-გვერდის ვერსიით საუკეთესოდ დასახელებული **ჯო ალენის** საწინააღმდეგო გვაქვს რამე, რომელმაც ძალიან ბევრი იმუშავა და 11 კილომეტრზე მეტიც დაფარა, ნახევარდაცვაში მისი საიმედოობა მნიშვნელოვანი იყო.

### მსაჯი

ნორვეგიელმა არბიტრმა **სვეინ მოენმა** საკმაოდ კარგად იმსაჯა და ამ კუთხით, ეს მატჩი ერთ-ერთი გამორჩეული გამოდგა. სიმართლე ითქვას, მოენსა და მის დამხმარეებს რთულად სამსაჯო შეხვედრამ არც მოუწიათ და როდესაც მათი ჩარევა გახლდათ საჭირო, ყველაფერს სწორად აკეთებდნენ.

### დასკვნა

შესაძლოა, საბოლოო შედეგი ფრე რომ ყოფილიყო, ეს უფრო ლოგიკურად და სამართლიანად ჩაგვეთვალა, მაგრამ უელსი მაინც ცოტათი უფრო უკეთესი იყო, უფრო სწორად კი - უფრო თამამი. დიახ, ის, რაც პირველ რიგში, სლოვაკებს აკლდათ სითამამე გახლდათ. გუნდს აშკარად, მეტი შეუძლია, შეტევაში მეტის პოტენციალი აქვს და კოზაკმა მომავალ შეხვედრებში თავისიანები უფრო უნდა მიუშვას. სლოვაკებმა საკუთარი თამაში უფრო უნდა დააბალანსონ და შეტევაში უფრო მრავალმხრივად ითამაშონ.

ბეილმა გოლი გაიტანა, რემზიმ კი საგოლე პასი გააკეთა, მათ ცუდად არ უთამაშიათ, მაგრამ უფრო უკეთ ჰმართებთ თამაში.

**whoscored.com-ის ტოპ-5**

| | | |
|---|---|---|
| **გარეთ ბეილი** | **უელ.** | **8,4** |
| **ბენ დევისი** | **უელ.** | **7,7** |
| **მარეკ ჰამშიკი** | **სლო.** | **7,5** |
| **ჰალ რობსონ-კანუ** | **უელ.** | **7,4** |
| **იურაი კუცკა** | **სლო.** | **7,3** |

**გიორგი კაკაბაძე**

# ცალმხრივი მოძრაობა

## თუ ლევანდოვსკი არა მაშინ მილიკი

* პოლონეთს აქამდე არასოდეს მოეგო ევროპის ჩემპიონატზე.
* ჩრდილოირლანდიელებს კი კონტინენტის მთავარ საფეხბურთო ფორუმზე არასოდეს უთამაშია.
* ირლანდიელებს 12-მატჩიანი წაუგებელი სერია დაუსრულდათ.

**გამოკვეთილი ფავორიტისა და აუტსაიდერის მატჩი - ასე მოინათლა პოლონთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნიცური მატჩი. პოლონეთისაგან ყველა ლაღ თამაშს და გამარჯვებას ელოდა, ბრიტანელთაგან კი - გამართულ თამაშს დაცვაში და სწრაფ კონტრშეტევებს.**

12 ივნისი. ნიცა.
„ალიანს რივიერა“

**პოლონეთი- ჩრ. ირლანდია 1:0**

**გოლი**: 1:0 მილიკი (51. ბლაშჩიკოვსკი)
**პოლონეთი (4-4-2):** შჩესნი - პიშჩეკი, გლიკი, პაზდანი, ენჯეიჩიკი - ბლაშჩიკოვსკი (80. გროსიცკი), კრიხოვიაკი, მონჩინსკი (74. იოდლოვეცი), კაპუსტკა (88. პეშკო) - მილიკი, ლევანდოვსკი
**ჩრდილოეთ ირლანდია (4-5-1):** მაკგოვერნი - მაკლაფლინი, კეტკარტი, ევანსი, მაკკოლი - მაკნეირი (46. დალასი), ნორვუდი, დევისი, ბერდი (76. უორდი), ფერგიუსონი (66. ვაშინგტონი) - ლაფერტი
**გაფრთხილება**: კაპუსტკა , პიშჩეკი - კეტკარტი
**კარში დარტყმა**: 7 (4) - 1 (0) **კუთხური**: 8:1 **თამაშგარე**: 1:2 **ჯარიმა**: 9:12 **ბურთის ფლობა**: 60 - 40
**მაყურებელი**: 33 742

არკადიუშ მილიკმა გამარჯვების გოლი გაიტანა

### ტაქტიკა და სასტარტო შემადგენლობები

როგორც მოსალოდნელი იყო, პოლონელთა გამოცდილმა თავკაცმა, **ადამ ნავაკლამ** აქცენტი შეტევაზე გააკეთა. 4 მცველს წინ ამდენივე ნახევარმცველი დაუდგა. თავდასხმაში კი პოლონეთი ორი ვარსკვლავის იმედად იყო. **არკადიუშ მილიკს** გუნდის უდავო ლიდერი, მიუნხენის "ბაიერნის" ვარსკვლავი, **რობერტ ლევანდოვსკი** შეუწყვილდა.

სწორედ ლევანდოვსკი უნდა ყოფილიყო პოლონელთა "პრიმა" ამ მატჩში. საერთოდ, ნავალკას გუნდს ყველა სათამაშო რგოლში ჰყავს ლიდერები. დაცვაში **კამილ გლიკი** და **ლუკას პიშჩეკი**, ნახევარდაცვაში კი **გრუეგოუ კრიხოვიაკი** და **კუბა**.

ნავალკამ, ცოტა არ იყოს, გარისკა. მან ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი არ დააყენა. აქ საქმეში ჩაერთო **გროსიცკის** ტრავმაც, თუმცა ის თამაშის ბოლოს მაინც შევიდა მინდორზე.

ჩრდილოირლანდიელთა დამრიგებელმა, ნაკრების უგრძესი დაუმარცხებელი სერიის მთავარმა შემომქმედმა **მაიკლ ონილმა** განსაკუთრებით დატვირთა ნახევარდცვა, სადაც 5 ფეხბურთელი დააყენა. გამოკვეთილ ფორვარდად კი დადგა **კაილ ლაფერტი**, ვინც ვერაფრით აიწყო საკლუბო კარიერა, ეროვნულ გუნდში კი უბრალოდ შეუჩერებელია. ოლსტერმა მას ქედი მოუხარა - ერთი დღით სწორედ მისი სახელობისა გახდა **ჯორჯ ბესტის** სახელობის აეროპორტი.

### ანალიზი

მთელი თამაშის განმავლობაში პოლონეთს აშკარა უპირატესობა ჰქონდა. მეტადრე ორივე ფლანგიდან ადამ ნავალკას გუნდმა მეტოქე "შეჭამა". განსაკუთრებით აქტიური იყო ვეტერანი კუბა ბლაშიკოვსკი, არკადიუშ მილიკმა კი ბევრი იმოძრავა და მანამდე არ მოისვენა, სანამ ჩრდილოირლანდიელთა კარი არ აიღო.

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები ამ ჩემპიონატზე უსუსტესად მოგვეჩვენა. მართალია, ბრიტანელები ტრადიციულად გიჟებივით იბრძოდნენ, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე ბრძოლა ცოტა ოსტატობასთანაც თუ არ შეაზავე, ისე არაფერი გამოვა.

მართალია, პოლონელთა კართან ერთი - ორჯერ სიტუაცია დაიძაბა, მაგრამ ასპროცენტიანი მომენტი რასაც ჰქვია, ოლსტერელებს ის არ ჰქონიათ. პოლონეთს კი გაცილებით დიდი ანგარიშით უნდა მოეგო. ეგაა, გაიფლანგა ბევრი მომენტი და დაცვაში ჩამჯდარმა აუტსაიდერმა არც რობერტ ლევანდოვსკის დაუტოვა სივრცეები. ირლანდიელებს კარის ჩარჩოში საერთოდ არ დაურტყამთ.

### გოლი

**1:0** - ზეაქტიურმა კუბა ბლაშჩიკოვსკიმ შესანიშნავი გადაცემით მოამარაგა არკადიუშ მილიკი. "აიაქსის" ვარსკვლავმა გადაწყვეტილება სწრაფად მიიღო და ჩრდილოირლანდიელთა მეკარე მაკგოვერნს ისე გაუტანა, რომ მან თავისიანების გადარჩენა ვერ შეძლო. ზუსტად ისეთი გოლი იყო, მაღალი კლასის ცენტრფორვარდს რომ შეჰფერის.

### მატჩის შემდეგ

**მაიკლ ონილი** (ჩრ. ირლანდია): *"ეს იყო ძალიან რთული თამაში. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ დადებითი შედეგის მისაღწევად, მაგრამ არ გამოგვივიდა. ჩვენი მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ბურთი ვერ მოვიპოვეთ. ლევანდოვსკი, მილიკი და კრიხოვიაკი - ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთაგანაც საფრთხეს უნდა ელოდე. ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას".*

**ადამ ნავალკა** (პოლონეთი): *"სასტარტო მატჩს ყოველთვის თან ახლავს მღელვარება. მიმაჩნია, რომ ჩვენ ვიმსახურებდით გამარჯვებას და ეს შედეგი არის კანონზომიერი. მნდა მეტოქე შევაქო - ისინი ძალიან ძლიერები არიან. კარგად ითამაშეს გუნდის ლიდერებმა, კაპუსტკა კი უბრალოდ დიდი ტალანტია. არ ვნანობ, რომ ის ძირითად შემადგენლობაში დავაყენე".*

### მატჩის გმირი

პოლონეთმა ევროპის ჩემპიონატზე პირველი მატჩი მოიგო. ისე მოხდა, რომ ეს ლამაზი ისტორია არკადიუშ მილიკის გოლმა დაწერა. ფეხბურთში გოლი ყოველთვის განსაკუთრებულად ფასობს. მით უმეტეს, როცა უდიდესი მნიშვნელობის შეხვედრას ეს ერთადერთი გოლი იგებს. გმირის მანტია ასევე მოუხდებოდათ კუბა ბლაშჩიკოვსკისა და ლუკაშ პიშჩეკს, მაგრამ ჩვენ არჩევანი "აიაქსის" შემტევზე შევაჩერეთ.

თუ ასე გააგრძელა, მილიკს "აიაქსში" დიდხანს არავინ გააჩერებს. ფორვარდი ისედაც მიიჩნევს, რომ ამსტერდამული კლუბი უკვე მისთვის აღარ არის შესაბამისი ასპარეზი. ვინ იცის, როგორ ნანობს "ლევერკუზენი", ასე ნაჩქარევად რომ შეელია ბევრისშემძლე ფორვარდს. ეგაა, ჟიური არ დაგვთანხმა და საუკეთესო მოთამაშედ გრუეგოუ კრიხოვიაკი დაასახელა.

### მსაჯი

35 წლის რუმინელმა არბიტრმა **ოვიდიუ ჰატეგანმა** ნორმალურად იმსაჯა. ეს იყო ისეთი შეხვედრა, სადაც მსაჯს აშკარად გაუმართლა. ჰატეგანს არ მოუწია საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებამ. ეგაა, კარპატელ მსაჯს რამდენჯერმე უფრო მკაცრი გადაწყვეტილების (ვგულისხმობთ ყვითელი ბარათის ჩვენებას) მართებდა ჩრდილოირლანდიელთა უხეშობისას. ერთ-ერთ შემთხვევაში კი მან აშკარა სიმულაცია ვერ შენიშნა. საქმე ისაა, როგორ გაუძლებს ჰატეგანი სხვა მკაცრ გამოცდებს ამ ევროფორუმზე? მთლიანობაში, საინტერესო მსაჯი ჩანს. ასაკიდან გამომდინარე, კიდევ უნდა მოუმატოს.

### დასკვნა

პოლონეთის ნაკრებს შეუძლია ჯგუფური ბარიერის დაძლევა. ეგაა, რობერტ ლევანდოვსკიმ ცოტა უნდა მოუმატოს და ცენტრალურმა ნახევარმცველებმაც ცოტა მეტი უნდა მოსთხოვონ საკუთარ თავს. ადამ ნავაკლას გუნდს ცოტა მეტი ფანტაზიაც არ აწყენდა. პოლონელები ძალიან ხშირად მიმართავდნენ ჩაწოდებებს იმ იმედით, რომ ან ლევანდოვსკი ითამაშებდა, ან მილიკი.

რაც შეეხება ჩრდოლოეთ ირლანდიას, ძნელი სათქმელია, რის ხარჯზე უნდა მოუმატოს გუნდმა. რაზეა ლაპარაკი, როცა გუნდის შეტევების უმრავლესობას ამპლუით მცველი, ჯონი ევანსი იწყებს?!

**whoscored.com-ის ტოპ-5**

| | | |
|---|---|---|
| კამილ გლიკი | პოლ. | 7,8 |
| არკადიუშ მილიკი | პოლ. | 7,6 |
| იაკუბ ბლაშჩიკოვსკის | პოლ. | 7,4 |
| ჯონი ევანსი | ჩ. ირ. | 7,4 |
| გჟეგოუ კრიხოვიაკი | პოლ. | 7,4 |

**ალეკო კაკაურიძე**

E ჯგუფი. I ტურის წინ

## 46 მებრძოლის ამბავი

13 ივნისი. სენ დენი.
"სტად დე ფრანსი"

**ირლანდია-უელსი 20:00**

**ირლანდია** (სავარაუდო): *რენდოლფი - კოულმენი, ო'ში, კიო, ბრეიდი - უილანი, მაკარტი, ჰენდრიკი, ჰულაჰანი - უოლტერსი, ლონგი*
**უელსი** (სავარაუდო): *ისაკსონი - ლუსტიგი, იოჰანსონი, გრანკვისტი, ოლსონი - ლარსონი, ლევიცკი, ჩელსტრიომი, ფორსბერგი - იბრაჰიმოვიჩი, ბერგი*
**მსაჯი**: მილორად მაჟიჩი (სერბეთი)

13 ივნისი. ლიონი.
სტად დე ლიონი

**ბელგია-იტალია 23:00**

**ბელგია** (სავარაუდო): *კურტუა - ალდერვეირელდი, დენაიერი, ვერმალენი, ვერტონგენი - ვიტსელი, ნაინგოლანი - მერტენსი, დე ბრუინი, აზარი - რ. ლუკაკუ*
**იტალია** (სავარაუდო): *ბუფონი - ბარძალი, ბონუჩი, კიელინი - კანდრევა, პაროლო, დე როსი, ჯაკერინი, დარმიანი - იმობილე, ძაძა*
**მსაჯი:** მარკ კლატენბურგი (ინგლისი)

**მარკ ვილმოტსი** (ბელგია): *"გამარჯვება თვითრწმენას შეგვმატებს და პირიქით - მარცხი ძალიან დაგვაზარალებს ფსიქოლოგიურად. იტალიის ნაკრები ყველაზე პრესტიჟული და რთული მეტოქეა, ვისითაც შეიძლება მოგიწიოს ტურნირის დაწყება. მატჩი დაიწყება თუ არა, მხოლოდ უმაღლესი კლასი უნდა გამოვავლინოთ. იტალიის ლიგა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, მათი მცველები ძალიან ძლიერები არიან. მეტოქეს დიდებული მწვრთნელი ჰყავს. ბელგიამ არ უნდა გაანწილოს საფრანგეთში ჩამოსული 18 ათასი ფანი".*

**ანტონიო კონტე** (იტალია): *"ხვალ ბრძოლას 46 მებრძოლი იწყებს, 23 ჩვენი და 23 ბელგიელი. ქვეყნის პრესტიჟი მხოლოდ ბრძოლითაა დასაცავი. ბელგიის ნაკრებზე ბევრს ლაპარაკობენ, მათ პოტენციალი ყველამ იცის. მართლაც, ბოლო წლებში ბელგიურმა ფეხბურთმა საოცრად მოუმატა და კიდევ უფრო მოუმატებს".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იტალიელები მატჩამდე ერთი დღით ადრე

ბასტიან შვაინშტაიგერი გოლის შემდეგ

12 ივნისი. ლილი.
სტად პიერ მორუა

**გერმანია-უკრაინა 2:0**

**გოლები**: 1:0 მუსტაფი (19. კროოსი), 2:0 შვაინშტაიგერი (92. იოზილი)

**გერმანია (4-2-3-1)**: ნოიერი - ჰიოვედესი, ბოატენგი, მუსტაფი, ჰექტორი - ხედირა, კროოსი - მიულერი, იოზილი, დრაქსლერი (78. შიურლე) - გიოტცე (90. შვაინშტაიგერი).

**უკრაინა (4-2-3-1)**: პიატოვი - ფედეცკი, ხაჩერიდი, რაკიცკი, ვ. შევჩუკი - სიდორჩუკი, სტეპანენკო - იარმოლენკო, კოვალენკო (74. ზინჩენკო), კონოპლიანკა - ზოზულია (66. სელეზნიოვი).

**გაფრთხილება**: კონოპლიანკა (უკრაინა)

**კუთხური**: 6-12; **ჯარიმა**: 9-9; **თამაშგარე**: 2-2; **კარში დარტყმა**: 18(8)-6(3); **ბურთის ფლობა**: 68%-32%.

**მაყურებელი**: 50 186

# კაპიტან შვაინის დაბრუნება

## გერმანიის ნაკრებმა მოიგო, მაგრამ...

*** გერმანიის ნაკრები პირველი გუნდია, ვინც ერთზე მეტბურთიანი სხვაობით მოიგო ევრო 2016-ზე.**

*** ოლივერ ბირჰოფის შემდეგ (1996) ევროპის ჩემპიონატებზე გერმანელ ფეხბურთელს გოლი არ ჰქონდა გატანილი შეცვლაზე შესვლის მერე. ახლა ეს შვაინშტაიგერმა მოახერხა.**

*** თამაშიდან შვაინშტაიგერს ნაკრების მაისურით 2009 წლის მერე არ ჰქონდა გატანილი (4 პენალტი), 2011 წლის მერე მას საერთოდ არ გაუტანია ნაკრებში.**

**მაშ ასე: გერმანიის ნაკრები პირველი გუნდია ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე, რომელმაც ერთბურთიანზე უკეთესი სხვაობით მოიგო - მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონებმა უკრაინის ნაკრები დამაჯერებლად, 2:0 დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ნაკრების თავკაცმა იოახიმ ლიოვმა ბუნდესგუნდს ევროპის ჩემპიონატის მე-12 შეხვედრაში უხელმძღვანელა, რაც ახალი რეკორდია - აქამდე იოგი ამ რეკორდს ბერტი ფოგთსთან ერთად იზიარებდა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ლიოვის ხელში გერმანიას ევროპის პირველობაზე ფრე არასდროს უთამაშია (9 მოგება, 3 მარცხი).**

### ტაქტიკა და სასტარტო შემადგენლობები

ევრო 2016-მდე გამართული უკანასკნელი ტესტ-მატჩისგან (2:0 უნგრეთთან) განსხვავებით, ლიოვმა თავისი გუნდის ძირითადი შემადგენლობა მხოლოდ ერთ პოზიციაზე შეცვალა: ტრავმირებული **მატს ჰუმელსის** ნაცვლად, სასტარტოში **შკოდრან მუსტაფი** ვიხილეთ. უკრაინელებს კი ბოლო ამხანაგური მატჩი ალბანელებთან ჰქონდათ (3:1) და მათმა მწვრთნელმა **ფომენკომაც** მხოლოდ ერთი ცვლილება განახორციელა: **გრამშის** ნაცვლად თამაში ნიჭიერმა **კოვალენკომ** დაიწყო.

### გოლები

**1:0 - მუსტაფი (19)**: **ტონი კროოსმა** ჯარიმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ ჩააწოდა, სადაც მუსტაფიმ **სიდორჩუკს** საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო და ბურთი თავით **პიატოვის** კარში გადაგზავნა.

**2:0 - შვაინშტაიგერი (92)**: გერმანიის ნაკრების კაპიტანი მოედანზე ახალი შესული იყო, როცა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ეს გახლდათ გერმანელთა ეფექტიანი კონტრიერიში, რომელიც **იოზილმა** სწორედ **შვაინშტაიგერისთვის** გაკეთებული დროული და უზუსტესი პასით გააგრძელა, შვაინიმ კი ბურთი კარში შეაგდო.

### მატჩის შემდეგ

**იოახიმ ლიოვი (გერმანია)**: *"ინტენსიური და საინტერესო მატჩი გამოვიდა. პირველ ტაიმში გარკვეული პრობლემები გვქონდა, უკრაინამ ბევრჯერ გვიკბინა, მეორე ნახევარში კი თამაში დავალაგეთ. ვდომინირებდით, მაგრამ უკრაინის ნაკრების დაცვის გარღვევა ადვილი არ არის. კარგია, რომ ეს ორჯერ მაინც შევძელით - მე ამითაც ძალიან კმაყოფილი ვარ."*

**მიხაილო ფომენკო (უკრაინა)**: *"ვიბრძოლეთ, წავაგეთ და ახლა ეს მატჩი უნდა დავივიწყოთ და მომდევნო შეხვედრაზე უნდა ვიფიქროთ. მჯერა, რომ ფიზიკურადაც და მენტალურადაც მზად ვიქნებით. გერმანია მანქანაა, რომლის შესაჩერებლად მხოლოდ მაქსიმალური მომზადება არ არის საკმარისი. ჩვენ უკვე მომდევნო მატჩზე ვფიქრობთ, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ."*

### მატჩის გმირი

რომ არა **მანუელ ნოიერი**, უკრაინელები აუცილებლად გაათანაბრებდნენ ანგარიშს და ვინ იცის, გერმანიას ეს თამაში იქნებ ვეღარც მოეგო. მანუმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიო დონის მეკარეა. ნოიერმა ძლიერი რეფლექსებით არაერთხელ იხსნა გერმანელთა კარი და სიმშვიდეს ინარჩუნებდა მაშინაც კი, როცა მის წინ მცველები აჭრილები ჩანდნენ.

### მსაჯი

ინგლისელმა **მარტინ ატკინსონმა** საკმაოდ კარგად იმსაჯა. აბსოლუტურად სწორი იყო მისი გადაწყვეტილება, როცა კარგად დაინახა, რომ **ბოატენგმა** ბურთი დროულად გამოიტანა კარიდან და სწორი იყო ისიც, რომ **კონოპლიანკაზე** თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

### ანალიზი

რაკი ჰუმელსი დაუშავდა და არც **რიუდიგერი** ჰყავდა, გერმანიაში ლიოვის მხრიდან ტაქტიკის შეცვლას და 3 მცველით თამაშს ელოდებოდნენ, მაგრამ იოგიმ მაინც ნაცადი 4-2-3-1 არჩია და დაცვის ცენტრში ბოატენგს მუსტაფი შეუწყვილა. შესაბამისად, მარჯვენა მცველად **ჰიოვედესი** ვიხილეთ. ზოგადად, თამაში ორივე გუნდმა 4-2-3-1-ით დაიწყო, თუმცა უკრაინელები გაცილებით უკნიდან თამაშობდნენ და ხსნას (პირველ წუთებში მაინც) მხოლოდ და მხოლოდ კონტრშეტევებში ეძებდნენ. როდესაც ბურთს გერმანელები ფლობდნენ, უკრაინელები ფაქტობრივად სრულად გადადიოდნენ თავის ნახევარზე.

რაკი ლიოვმა **გიოტცეს** სახით ე.წ. "მცდარი" ცენტრფორვარდი აირჩია, გერმანიის ნაკრების წინა ხაზი უკრაინელი მცველებისთვის ერთობ არაპროგნოზირებადი გახლდათ, რადგან **დრაქსლერი, იოზილი, მიულერი** და **გიოტცე** ხშირად ცვლიდნენ პოზიციებს და ერთმანეთში ირეოდნენ. თუმცა ასეთი მიდგომა მხოლოდ 30 წუთს გაგრძელდა, მერე კი ოთხივე ფეხბურთელი თავთავიანთ ნომინალურ პოზიციებს დაუბრუნდნენ.

თავიდან უკრაინელები მხოლოდ კონტრშეტევების იმედად იყვნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონს თანდათან გაუთამამდნენ. თუმცა ცხადი იყო, რომ დრო და დრო გერმანელებსაც სჭირდებოდათ დასვენება და ისინი განზრახ იხევდნენ უკან, მაგრამ ფაქტია, რომ საგოლე მომენტები უკრაინელებსაც შეექმნათ და თანაც, არაერთი. ეს იმის ბრალიცაა, რომ დრაქსლერი და მიულერი საყრდენ ნახევარმცველებს კარგად არ ეხმარებოდნენ, რის გამოც უკრაინელებმა მოედნის ცენტრში არაერთხელ შექმნეს რიცხობრივი უპირატესობა.

გერმანიის ნაკრებმა ვერც ფლანგებზე იბრწყინა. ბენედიქტ ჰიოვედესისგან არ გვიკვირს ის, რომ შეტევაში არ აქტიურობდა, რადგან ცენტრალური მცველი უფროა, ვიდრე ფლანგისა, აი, **იონას ჰექტორისგან** კი ნამდვილად მეტს ველოდით მარცხენა ფლანგზე. შესაძლოა, ჰიოვედესსა და ჰექტორს ლიოვმა განსაკუთრებით ფრთხილად ყოფნა დაავალა და წინ წასვლაც აუკრძალა, რადგან იოგიმ კარგად იცოდა, რომ უკრაინის ნაკრებს საუკეთესო ფეხბურთელები სწორედ ფლანგებზე ჰყავს - რა თქმა უნდა, კონოპლიანკას და **იარმოლენკოს** ვგულისხმობთ.

### დასკვნა

გერმანიის ნაკრებმა ეს გამარჯვება დაიმსახურა, მაგრამ გარკვეულწილად გაუმართლა კიდეც. შეტევაში ყველაფერი რიგზე იყო, უკან კი, ბუნდესგუნდს აშკარად აკლდა ჰუმელსი.

**whoscored.com-ის ტოპ-5**

| | | |
|---|---|---|
| ტონი კროოსი | გერ. | 9,3 |
| შკოდრან მუსტაფი | გერ. | 9,0 |
| ანდრიი პიატოვი | უკრ. | 7,7 |
| მანუელ ნოიერი | გერ. | 7,6 |
| იულიან დრაქსლერი | გერ. | 7,5 |

**გოტფრიდ ლენცი**

# როცა სხვაობა მეჭი უნდა ყოფილიყო

## მოდრიჩის გენია და გენიალური გოლი

მთავარი მოქმედი გმირი - ლუკა მოდრიჩი

12 ივნისი. პარიზი. "პარკ დე პრენსი"

**თურქეთი-ხორვაზია 0:1**

**გოლი**: 0:1 მოდრიჩი (41)

**თურქეთი (4-5-1)**: ბაბაჯანი - გიონული, თოფალი, ბალთა, ერკინი - ჩალჰანოღლუ, თუფანი, ინანი, ოზიაკუპი (46. შენი), თურანი (65. ილმაზი) - თოსუნი (69. მორი)

**ხორვატია (4-2-3-1):** სუბაშიჩი - სრნა, ჩორლუკა, ვიდა, სტრინიჩი - მოდრიჩი, ბადელი - ბროზოვიჩი, რაკიტიჩი (89. შილდენფილდი), პერიშიჩი (87. კრამარიჩი) - მანჯუკიჩი (90. პიაცა)

**გაფრთხილება**: თოსუნი, ბალთა, შენი - სტრინიჩი

**კუთხური**: 3-5; **ჯარიმა**: 13-15; **თამაშგარე**: 1-2; **კარში დარტყმა**: 8-17 (2-6); **ბურთის ფლობა**: 51%-49%.

**მაყურებელი**: 43 842

*** ემრე მორი გახდა თურქეთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვინც დიდ ტურნირებზე ითამაშა - 18 წლისა და 323 დღის.**

*** ხორვატიის ნაკრებს არასოდეს წაუგია სასტარტო მატჩი ევროპის ჩემპიონატებზე. ოთხჯერ მათ გოლიც არ გაუშვეს.**

*** და პირიქით, თურქეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატების ყველა სასტარტო მატჩი დათმო.**

*** თუკი მოდრიჩს გოლი გააქვს ხორვატიის ნაკრები არ აგებს - 10 მოგება, 1 ფრე.**

**თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდი ვიხილეთ - თურქეთის ნაკრები. ფათიჰ თერიმის გუნდმა პრაქტიკულად ვერაფერი შესთავაზა მეტოქეს და სადაც სამართალია, გამანადგურებელი ანგარიშით უნდა წაეგო. მეტოქე ხორვატია გახლდათ, გუნდი, რომელიც თურქეთისგან განსხვავებით, ნამდვილად დაიკვეხნის ვარსკვლავური შემადგენლობით. ხორვატებმა მნიშვნელოვანი ქულები ჩაიწერეს აქტივში და დიდი ნაბიჯი გადადგეს მერვედფინალისკენ.**

### ტაქტიკა და სასტარტო შემადგენლობები

ხორვატიის ნაკრები 4-2-3-1 სქემით დაუპირისპირდა მეტოქეს. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **მარიო მანჯუკიჩი** გახლდათ, რომელსაც სიღრმიდან მარსელო **ბროზოვიჩი**, **რაკიტიჩი** და **პერიშიჩი** ეხმარებოდნენ. საყრდენი ხაზი **მილან ბადელმა** და **ლუკა მოდრიჩმა** გაამაგრეს - პირველის უშუალო მოვალეობა მეტოქის იერიშების ჩაშლა გახლდათ, მეორე კი საკუთარი გუნდის შეტევებს დირიჟორობდა. თუ რა გუნდებში თამაშობენ ეს ფეხბურთელები, ცალკე სალაპარაკო თემაა - რაკიტიჩი "ბარსელონაში" ირჯება, მოდრიჩი "რეალში", ბროზოვიჩი და პერიშიჩი "ინტერში", ბადელი კი "ფიორენტინაში". თადარიგში გახლდათ **მატეო კოვაჩიჩი**, რომელიც "რეალის" მოთამაშეა და ამით ყველაფერია ნათქვამი. მოკლედ, სადაც ბელგიელთა შემადგენლობაა ცაში აყვანილი, იქაც ხორვატები უნდა ვახსენოთ. თუმცა, რამდენად გამოავლენენ ეს ფეხბურთელები სრულად შესაძლებლობებს და გაიბრწყინებენ ევროპის ჩემპიონატზე, ეს ცალკე თემაა და ამას დრო გვიჩვენებს...

### ანალიზი

თავშიც აღვნიშნეთ და აქაც გავიმეოროთ, რომ თურქებმა სუსტი შთაბეჭდილება დატოვეს. **თერიმის** შეგირდებმა შეტევაში ვერაფერი შესთავაზეს მეტოქეს და თუ პირველ ტაიმში **ოზან თუფანის** თავურს არ ჩავთვლით, სახიფათო მომენტი პრაქტიკულად არ შეუქმნიათ. მოკლედ, თურქებს კლასი აკლდათ, სხვა იარაღი კი მათ არსენალში არ აღმოჩნდა. თერიმის შეგირდებმა ვერც ბრძოლისუნარიანობა დაუპირისპირეს მეტოქეს და ვერც ორგანიზებული თამაში.

სამაგიეროდ, ხორვატებს ჰქონდათ უამრავი საგოლე მომენტი და, წესით, 3-4 ბურთის სხვაობით მაინც უნდა მოეგოთ. მარტო ძელს, სამჯერ გაარტყეს ბურთი - აქედან ერთხელ ბროზოვიჩმა, ერთხელ პერიშიჩმა და ერთხელაც **დარიო სრნამ**. კიდევ არაერთი მომენტი ჰქონდათ ბალკანელებს, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ყოველთვის რაღაც აკლდებოდათ. მაგალითად, ბროზოვიჩს მინიმუმ, დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ იმ საღამოს, გატანა უბრალოდ არ ეწერა. აქტიური გახლდათ მარიო მანჯუკიჩი, ბევრი იბრძოლა, თუმცა თანაგუნდელებისგან განსხვავებით, დასარტყმელ პოზიციაზე პრაქტიკულად არ გასულა. მთლიანობაში, ხორვატიამ აშკარად აჯობა მეტოქეს და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

### გოლი

**0:1** - მატჩის ერთადერთი გოლი 41-ე წუთზე გავიდა, როდესაც საჯარიმოდან გამოტანილ ბურთს ლუკა მოდრიჩი დაუხვდა და უძლიერესი დარტყმით მეკარისაგან მარჯვენა დაბალი კუთხე დალაშქრა. ბურთი წინ დაუხტა თურქთა კარის დარაჯს და ამან მისი ამოცანა კიდევ უფრო გაართულა. ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე, სილამაზით ამ გოლს **დიმიტრი პაიეს** გასროლა თუ შეედრება.

მოდრიჩი ურთულესი ამოცანის წინაშე იყო, რადგან ბურთი ზემოდან დაეშვა, მისი კარში გადაგზავნა კი უმაღლეს საშემსრულებლო ოსტატობას მოითხოვდა. რაღაცით, ეს გოლი ჩემპიონთა ლიგის ფინალში, **ზინედინ ზიდანის** გოლს ჰგავდა, რომელიც ლეგენდარულმა ფრანგმა ლევერკუზენის "ბაიერს" შეუგდო - მაშინაც, ბურთი ციდან დაეშვა და ისე აღმოჩნდა კარის ბადეში. ბრავო მოდრიჩს...

### მატჩის შემდეგ

**ფათიჰ თერიმი** (თურქეთი): *"პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ და შეგვეძლო გაგვეხსნა კიდეც ანგარიში, რის შემდეგაც ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა. მეორე ნახევარში, მეტოქემ მოიპოვა უპირატესობა და არაერთი საგოლე შანსი ჰქონდა. თურქეთის ნაკრები დიდ ტურნირებს ყოველთვის წარუმატებლად იწყებს და ამ მარცხისგანაც კარგი გაკვეთილი უნდა მივიღოთ".*

**ანტე ჩაჩიჩი** (ხორვატია): *"კარგად მოვემზადეთ თურქეთთან მატჩისთვის და დარწმუნებულნი ვიყავით საკუთარ ძალებში. მთელი 90 წუთის განმავლობაში ვფლობდით უპირატესობას და დამსახურებულად მოვიგეთ. რა არის ჩვენი მიზანი ევრო 2016-ზე? — თითოეულ შეხვედრაში გამარჯვება, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს".*

### მატჩის გმირი

კარგი შთაბეჭდილება დატოვა დარიო სრნამ, რომელიც მარჯვენა ფრთას აკონტროლებდა და ძალიან ხშირად ერთვებოდა შეტევებში. შეუდარებელი იყო **ვედრან ჩორლუკა**, რომელსაც თავი გაუტყდა, ბევრი სისხლი დაღვარა და მიუხედავად ამისა, თამაში ბოლომდე ჩაამთავრა. საჭირო მომენტში, თანაგუნდელები ხორვატთა მეკარემ, **დანიელ სუბაშიჩმა** იხსნა, მაგრამ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი მაინც ლუკა მოდრიჩი გახლდათ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოდრიჩმა ულამაზესი გოლი შეაგდო და სწორედ ეს გოლი აღმოჩნდა გადამწყვეტი. ამასთან, კარგად წარმართავდა ხორვატთა იერიშებს და საჭიროების შემთხვევაში, დაცვასაც აქტიურად ეხმარებოდა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოდრიჩმა მასზე დაკისრებული ლიდერის როლი პირნათლად შეასრულა.

### მსაჯი

მატჩს შვედი არბიტრების ბრიგადა ემსახურებოდა, მთავარი მსაჯი კი **იონას ერიკსონი** გახლდათ. ზოგადად, ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე ლოიალური მსაჯობაა და არბიტრები ზედმეტად მკაცრი გადაწყვეტილებების მიღებას ერიდებიან. ამ კონკრეტულ შეხვედრაში, ერიკსონს თავისუფლად შეეძლო, რომ უფრო მეტჯერ ამოეღო ჯიბიდან ყვითელი ბარათი და არც წითელი იქნებოდა ლოგიკას მოკლებული. თურქებმა უხეში თამაშით დაგვამახსოვრეს თავი - ორთაბრძოლებში ხშირად იყენებდნენ იდაყვს, გაშლილ ფეხს და ზოგადად, აკრძალულ ილეთებს. მოკლედ, მსაჯს შეეძლო რომ უფრო მკაცრი ყოფილიყო, თუმცა, რაც მთავარია, მის გადაწყვეტილებებს თამაშის სცენარზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია.

### დასკვნა

ასეთი თამაშით, თურქებს ნამდვილად გაუჭირდებათ წარმატების მიღწევა და დიდია შანსი, რომ ჯგუფური ბარიერი ვერ დაძლიონ, ხორვატებს კი დიდი პოტენციალი აქვთ, მაგრამ თუ ამ რესურსს ბოლომდე გამოყენება სჭირდება. ბალკანელებს უფრო სწრაფად მართებთ თამაში და რა თქმა უნდა, მეტი სიზუსტე დამაგვირგვინებელ ფაზაში. რაც შეეხება ამ ერთ კონკრეტულ შეხვედრას, ხორვატებმა სრულიად დამსახურებულად მოიგეს.

**whoscored.com-ის ტოპ-5**

| | | |
|---|---|---|
| ლუკა მოდრიჩი | ხორ. | 8,7 |
| დარიო სრნა | ხორ. | 8,1 |
| ივან პერიშიჩი | ხორ. | 8,1 |
| მარიო მანჯუკიჩი | ხორ. | 7,6 |
| ვედრან ჩორლუკა | ხორ. | 7,4 |

**ლაშა წიკლაური**

D ჯგუფი. ესპანეთი-ჩეხეთის წინ

## *დელ ბოსკე:*

# ჩეხეთი სახიფათოა

**13 ივნისი. ტულუზი 17:00**

**დისკვალიფიკაცია**: სუხი (ჩეხეთი)

**ესპანეთი** (სავარაუდო): *კასილასი - ხუანფრანი, პიკე, რამოსი, ალბა - ბუსკეტსი - სილვა, ფაბრეგასი, ინიესტა, ნოლიტო - მორატა*

**ჩეხეთი** (სავარაუდო): *ჩეხი - კადერჟაბეკი, სივოკი, კადლეცი, გებრე-სელასიე - დარიდა, პლაშილი - დოჩკალი, როსიცკი, კრეიჩი - ნეციდი*

**მსაჯი**: შიმონ მარცინიაკი (პოლონეთი)

**ვისენტე დელ ბოსკე** (ესპანეთი): *"პირველი თამაში ძალიან მნიშვნელოვანია, ზეწოლა დღითიდღე ძლიერდება ფეხბურთელებზე. ჩეხეთის ნაკრები ძალიან ორგანიზებული გუნდია. მეტოქეს ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, ჩეხეთი ძალიან სახიფათოა სტანდარტული მდგომარეობებისას. ჩვენს ფეხბურთელებს მომქანცველი სეზონი ჰქონდათ, მაგრამ ახლა ნაკრები კარგ ფორმაშია. ფეხბურთელები სხვადასხვა ეტაპიდან შემომიერთდნენ. ვნახოთ, ხვალ რა იქნება".*

**პაველ ვრბა** (ჩეხეთი): *"ყველაფერი უნაკლოდ უნდა შევასრულოთ, თუკი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან წარმატებაზე ფიქრი გვსურს. ესპანეთის ნაკრებს ყველა ხაზში მსოფლიო კლასის ვარსკვლავი ჰყავს. ძალიან მძიმე ტესტი გვერგო, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ არის რაღაცები, რითაც ჩვენ მეტოქის გაკვირვებას შევძლებთ. ერთი ცხადია, შუა ხაზში როსიცკის არ შევზღუდავ, მას ეს არ უყვარს, სრული თავისუფლება ექნება".*



ვისენტე დელ ბოსკე ვრესკონფერენციაზე

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# როცა მესის თამაში ენატრება...

## ამერიკა - პირველი პირველით

*** ხუან კარლოს ოსორიომ მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მე-9 მატჩიდან მე-9 გამარჯვება მოიპოვა. მექსიკელებმა 19 გოლი გაიტანეს და მხოლოდ 1 გაუშვეს.**

*** მაქსი როდრიგესმა ურუგვაის ნაკრების მაისურით 113-ე მატჩი ჩაატარა და დიეგო ფორლანს გადაასწრო. ის მისი ნაკრების რიგებში საუკეთესო გახდა უშუალოდ კოპა ამერიკაზეც, ეს მაქსის მე-17 შეხვედრა გახლდათ ამ ტურნირზე.**

*** ხავიერ მასკერანომ კოპა ამერიკაზე თავისი 23-ე მატჩი ჩაატარა და ამ მხრივ, არგენტინის ნაკრებში თვით ხავიერ ძანეტის გადაასწრო.**

*** ჰეთ თრიკის მერე ლიონელ მესის "ალბისელესტეს" მაისურით 53 გოლი აქვს გატანილი (109 მატჩში). მას პირველ ადგილზე მყოფ გაბრიელ ბატისტუტამდე 3 ბურთი აკლია. "ბატიგოლმა" 56 გოლი 78 შეხვედრაში დაგროვა.**

*** კლინტ დემპსიმ აშშ-ს რიგებში თავისი 51-ე გოლი გაიტანა, ლენდონ დონოვანამდე მას 6 ბურთი აკლია.**

**D ჯგუფი**

**ჩილე-ბოლივია 2:1**

**გოლები**: 1:0 ვიდალი (46), 1:1 კამპოსი (61), 2:1 ვიდალი (90+10)

**ჩილე (4-3-3):** ბრავო - ისლა (76. ფუენსალიდა), მედელი, ხარა, ბოსეჟური - არანგისი, ერნანდესი, ვიდალი - ორელიანა (68. პუში), სანჩესი, პინილია (58. ვარგასი)

**ბოლივია (5-4-1):** ლამპრე - საავედრა, ეგუინო, სენტერო, გუტიერესი, მ. ბეხარანო - მელეანი, კასტრო (61. კამპოსი), შმედბერგი, არსე (54. რამალიო) - დუკი (82. ვეისაგა)

**გაფრთხილება**: ერნანდესი - ეგუინო, კამპოსი, ვეისაგა, გუტიერესი

**კუთხური**: 7-2 **ჯარიმა**: 13-18 **თამაშგარე**: 1-2 **კარში დარტყმა**: 19(10)-3(1) **ბურთის ფლობა**: 79%-21%

**მაყურებელი**: 19 392

**არგენტინა-პანამა 5:0**

**გოლები**: 1:0 ოტამენდი (7), 2:0 მესი (68), 3:0 მესი (78), 4:0 მესი (87), 5:0 აგუერო (90)

**არგენტინა (4-2-3-1):** რომერო - მერკადო, ოტამენდი, რამირო ფუნეს მორი, როხო - მასკერანო, ფერნანდესი (61. მესი) - ბანეგა, გაიტანი, დი მარია (43. ლამელა) - იგუაინი (76. აგუერო)

**პანამა (4-5-1)**: პენედო - მაჩადო, ბალოი, ენრიკესი, მილერი - კუპერი (76. არროიო), გომესი, გოდოი, პიმენტელი (20. კამარგო), კინტერო - პერესი (75. ტეხადა)

**გაფრთხილება**: ფერნანდესი, მასკერანო, გაიტანი - პერესი, ბალოი, გოდოი, კუპერი, ენრიკესი

**გაძევება**: გოდოი (31)

**კუთხური**: 10-4 **ჯარიმა**: 17-15 **თამაშგარე**: 4-2 **კარში დარტყმა**: 12(8)-6(3) **ბურთის ფლობა**: 72%-28%

**მაყურებელი**: 53 885

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1. არგენტინა** | **2** | **2** | **0** | **0** | **7-1** | **6** |
| 2. ჩილე | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 3. პანამა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-6 | 3 |
| 4. ბოლივია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

**ბოლო ტური**

**14 ივნისი**

| | |
|---|---|
| ჩილე-პანამა | 04:00 |
| არგენტინა-ბოლივია | 06:00 |

ჩილეს არგენტინასთან მარცხის მერე რეაბილიტაცია სჭირდებოდა და აუტსაიდერ ბოლივიასთან ამისი კარგი შანსიც ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად დიდი სათამაშო უპირატესობისა, **ხუან ანტონიო პიცის** ბიჭებმა ძალიან ინერვიულეს. **არტურო ვიდალმა** მეორე ტაიმის დებიუტში კი გაიტანა, მაგრამ შეცვლაზე 58-ე წუთზე შემოსულმა **კამპოსმა** ჯარიმიდან საოცარი სილამაზის დარტყმით გაათანაბრა (ეს ბოლივიელთა ერთადერთი ზუსტი დარტყმა იყო). როგორც ჩანს, კოპა ამერიკის 100-წლისთავის პატივსაცემად ჩილელებმაც მე-100 წუთზე შეაგდეს, ვიდალმა დუბლი გაიფორმა. ბოლივიელთა კარში ცოტა საკამათო პენალტი დაინიშნა, ეს მე-7 დამატებულ წუთზე მოხდა, კინკლაობაში გასული ორწუთნახევრის მერე კი "მეფე არტურო" თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან არ შეცდა.

არგენტინა პანამასთან დებიუტშივე დანინაურდა, ოტამენდიმ დი მარიას ჩაწოდებით გაიტანა. მერე, "ალბისელესტეს" მეტოქეს ფეხბურთელი გაუძევეს, მაგრამ მეორე გოლი მაინც არ ჩანდა. თუმცა **ხერარდო მარტინომ** 61-ე წუთზე "ის" გამოიყვანა და... მცირე გადაღლილობისა და მიკროტრავმის მერე, **მესის** თამაში ძალიან მონატრებია და ლეომ ჰეთ თრიკი შეასრულა, თანაც ყველა გემოვნებისთვის დამაკმაყოფილებელი გოლი შეაგდო და ბოლოს, ჩაროზად საოცარი პასიც გააკეთა, რომლის შედეგადაც **როხომ აგუეროს** გაატანინა.

არგენტინა 99%-ით პირველი აგდილით გავა ჯგუფიდან. ჩილეს კი ბოლო ტურში პანამასთან ფრეც ჰყოფნის ჯგუფიდან გასასვლელად, მაგრამ სარისკოდ საქმე, წესით, არ უნდა გაიხადოს.

**იამაიკა (4-4-2):** ბლეიკი - მარიაპა, მორგანი, ტეილორი, უოტსონი - მაკლირი, უილიამსონი (77. ორჯილი), ჰექტორი, მაკნაუფი (62. ბინსი) - დონალდსონი, ბარნსი

**გაფრთხილება**: - უოტსონი

**კუთხური**: 4-4 **ჯარიმა**: 11-13 **თამაშგარე**: 2-1 **კარში დარტყმა**: 18(5)-10(3) **ბურთის ფლობა**: 64%-36%

**მაყურებელი**: 83 263

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1. მექსიკა** | **2** | **2** | **0** | **0** | **5-1** | **6** |
| **2. ვენესუელა** | **2** | **2** | **0** | **0** | **2-0** | **6** |
| 3. ურუგვაი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 4. იამაიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

**მომდევნო ტური**

**13 ივნისი**

| | |
|---|---|
| მექსიკა-ვენესუელა | 04:00 |
| ურუგვაი-იამაიკა | 06:00 |

კოპა ამერიკა სენტენარიოს პირველი დიდი სენსაცია ურუგვაის ნაკრების ჯგუფში ჩარჩენაა. ამ ტურნირის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი (ურუგვაელებს კოპა 15-ჯერ აქვთ მოგებული, არგენტინას 14-ჯერ) ვენესუელასთან დამარცხდა, რითაც მეოთხედფინალში გასვლის შანსი დაკარგა.

**ოსკარ ტაბარესს** ისევ არ ჰყავდა **ლუის სუარესი** და გამოცდილმა სპეციალისტმა მექსიკასთან მატჩთან შედარებით, რამდენიმე ცვლილება გააკეთა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მისმა ნაკრებმა უკეთესად ითამაშაო, ძნელად თუ ვიტყვით. ურუგვაელებმა მეტოქეს ზუსტად მხოლოდ ერთხელ დაურტყეს. თუმცა მომენტები მაინც იყო, მხოლოდ **ედინსონ კავანის** შეეძლო გატანა სამჯერ. მათ შორის, ერთხელ ბოლო წამებზე. მატჩის ბედი კი **სალომონ რონდონის** ეულმა გოლმა გადაწყვიტა, რომელიც "ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" თავდამსხმელმა 36-ე წუთზე შეაგდო. რონდონმა **ალეხანდრო** გერას დარტყმულს დაამატა, როდესაც გერას მიერ დაახლოებით 50 მეტრიდან მშვენივრად დარტყმული ბურთი კარიდან ცოტა წინ გამოსულმა **ფერნანდო მუსლერამ** მოიგერია, მაგრამ სალომონი იქვე იყო და...

მექსიკისა და იამაიკის შეხვედრაში ყველაფერი ისე მარტივად არ მომხდარა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, უფრო ძლიერმა გუნდმა კი მოიგო, მაგრამ იამაიკელებს არაერთი შანსი ჰქონდათ და ღირსეულად გამოიყურებოდნენ. "ელ ტრი" **ხავიერ ერნანდესმა** დააწინაურა. ჩიჩარიტოს **ხესუს კორონამ** გაუწია ასისტენტობა, დახვეწილი გადაცემით. 81-ე წუთზე კი **ორიბე პერალტამ ექტორ ერერას** პასით შეაგდო.

ბოლო ტურში მხოლოდ ისაა გასარკვევი, პირველ ადგილზე მექსიკა გავა თუ ვენესუელა, რომელიც ერთადერთია მიმდინარე კოპა ამერიკაზე, ვისაც გოლი ჯერ არ გაუშვია. ურუგვაისა და იამაიკას დაპირისპირებას კი აღარანაირი დატვირთვა არ აქვს.

**A ჯგუფი**

**აშშ-პარაგვაი 1:0**

**გოლი**: 1:0 დემპსი (27)

**აშშ (4-4-2):** გუზანი - იედლინი, კამერონი, ბრუკსი, ჯონსონი - სარდესი, ბრედლი, ჯოუნსი, ბედოია (75. ზუსი) - ვუდი (83. ბეკერმანი), დემპსი (50. ოროსკო)

ლიონელ მესიმ ჰეთ თრიკი შეასრულა

**C ჯგუფი**

**ურუგვაი-ვენესუელა 0:1**

**გოლი**: 0:1 რონდონი (36)

**ურუგვაი (4-4-2):** მუსლერა - მ. პერეირა, ხიმენესი, გოდინი, სილვა - არევალო, სანჩესი (78. ლოდეირო), გონსალესი (80. კრუზი), რამირესი (73. როლანი) - სტუანი, კავანი

**ვენესუელა (4-4-2)**: ერნანდესი - როსალესი (8. ა. გონსალესი), უილკერი, ვისკარონდო, ფელრშერი - გერა, რინკონი, ფიგერა (79. ოტერო), პენიარანდა - მარტინესი, რონდონი (78. სეიასი)

**გაფრთხილება**: - მარტინესი, ფიგერა, სეიასი

**კუთხური**: 4-4 **ჯარიმა**: 14-19 **თამაშგარე**: 1-1 **კარში დარტყმა**: 13(1)-12(6) **ბურთის ფლობა**: 61%-39%

**მაყურებელი**: 23 002

**მექსიკა-იამაიკა 2:0**

**გოლები**: 1:0 ხ. ერნანდესი (18), 2:0 პერალტა (81)

**მექსიკა (4-3-3):** ოჩოა - დუენიასი (72. მოლინა), არაუხო, კორონა (63. ლოზანო), მორენო - ერერა, მარკესი, ლაიუნი - კორონა, ხიმენესი, ხ. ერნანდესი (78. პერალტა)

**პარაგვაი (4-4-2):** ვილიარი - და სილვა, გომესი, ბალბუენა (46. იტურბე), სამუდიო - აიალა, ორტისი (55. როხასი), ალმირონი, გონსალესი - ლესკანო, სანაბრია (63. ბენიტესი)

**გაფრთხილება**: იედლინი, იედლინი, ბრედლი, ვუდი, ოროსკო, ჯოუნსი - ორტისი, როხასი, აიალა

**კუთხური**: 3-8 **ჯარიმა**: 20-16 **თამაშგარე**: 1-2 **კარში დარტყმა**: 7(2)-19(6) **ბურთის ფლობა**: 35%-65%

**მაყურებელი**: 51 041

**კოლუმბია-კოსტა რიკა 2:3**

**გოლები**: 0:1 ვენეგასი (2), 1:1 ფაბრა (6), 1:2 ფაბრა (34-ს.კ.), 1:3 ბორხესი (58), 2:3 მ. მორენო (73)

**კოლუმბია (4-3-3):** საპატა - მედინა, აგილარი (66. კუადრადო), მინა, ფაბრა - სელისი, სანჩესი, პერესი (46. როდრიგესი) - მ. მორენო, დ. მორენო (46. კარდონა), მარტინესი

**კოსტა რიკა (5-4-1)**: პემბერტონი - სალვატიერა (46. ოვიედო)), უოტსონი, აკოსტა, კალვო, მატარიტა - ბოლანიოსი, ასოფეიფა, ბორხესი (78. ტეხედა), რუისი (79. კემპბელი) - ვენეგასი

**გაფრთხილება**: მარტინესი - პემბერტონი, უოტსონი, კემპბელი

**კუთხური**: 4-1 **ჯარიმა**: 10-19 **თამაშგარე**: 1-4 **კარში დარტყმა**: 14(5)-8(3) **ბურთის ფლობა**: 52%-48%

**მაყურებელი**: 45 808

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1. აშშ** | **3** | **2** | **0** | **1** | **5-2** | **6** |
| **2. კოლუმბია** | **3** | **2** | **0** | **1** | **6-4** | **6** |
| 3. კოსტა რიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-6 | 4 |
| 4. ბოლივია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 0 |

კოსტა რიკამ ბოლო ტურის შეხვედრაში ტურნირის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი და ფავორიტი კოლუმბია კი დაამარცხა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიდოდა ჯგუფიდან, პარაგვაი აშშ-ს თუ მოუგებდა. პარაგვაელებმა კი 48-ე წუთიდან 10 კაციით მოთამაშე ამერიკელებს არათუ ვერ მოუგეს, საერთოდაც დამარცხდნენ. ამან ის გამოიწვია, რომ აშშ ჯგუფში პირველ ადგილზე გადავიდა, კოლუმბია კი მეოთხედფინალში მეორე ადგილით გავიდა. კოლუმბია B ჯგუფის პირველადგილოსანს შეხვდება, რომელიც წესით, ბრაზილია უნდა ყოფილიყო, მაგრამ არის თუ არა, ეს დღეს გამთენიისას გაირკვა.

აშშ-ს რაღა თქმა უნდა, **კლინტ დემპსიმ** მოაგებინა, რომელმაც **სარდესის** კარგი გამჭოლი პასის მერე შეაგდო. პარაგვაელთა მხრიდან **დარიო ლესკანოსა** და სხვებს მომენტები ჰქონდათ, მაგრამ ამერიკელთა მეკარე **ბრედ გუზანი** დიდებულად თამაშობდა. **რამონ დიასის** გუნდს ვერც **დეანდრე იედლინის** გაძევებამ უშველა. ამ უკანასკნელმა ერთწუთიან მონაკვეთში ორი ხისტი ვარდნის გამო, ორი ყვითელი ბარათის მიღება მოახერხა.

კოპაზე კიდევ ერთი ულამაზესი გოლი გავიდა, **ვენეგასმა** კოსტა რიკა საუცხოო დარტყმით დააწინაურა. მერე **ფაბრამ** კარგად იძრომიალა და გაათანაბრა, მაგრამ მოგვიანებით საკუთარ კარშიც ჩაჭრა ბურთი. ეს ერთ-ერთ ყველაზე ლაღი და სანახაობრივი მატჩი გახლდათ. **ხოსე პეკერმანს** ძალების დაზოგვითა და რამდენიმე მოთამაშის დასვენებით კოსტარიკელებთან არნაგება არ გამოუვიდა.

გვერდი მოამზადა
**გიორგი კაკაბაძემ**

სფფ. აღმასკომი

# ფორმატი, იაშვილი, ლიმიტები და ხარისხიანი ლეგიონერები

აღმასკომის სხდომა

**10 ივნისს გაიმართა ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე დაამტკიცა...**

## უმაღლესი ლიგა

აღმასკომმა მომავალი (გარდამავალი) ჩემპიონატის ფორმატსა და დებულებაზე იმსჯელა, რაც დიდ ინტერესს იწვევდა. დამტკიცდა - საქართველოს 2016 წლის გარდამავალი ჩემპიონატი 7 აგვისტოს დაიწყება. ვფიქრობთ, ახალი ფორმატი ჩემპიონატისადმი ქომაგთა ინტერესს გაზრდის, რადგან დაძაბულობა გარანტირებული იქნება.

ჯგუფებისა და კალენდრის წილისყრა დღეს, 13 ივნისს, 14 საათზე, სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" გაიმართება. ჩემპიონი "დინამო" და ვიცე-ჩემპიონი "სამტრედია" სხვადასხვა ჯგუფებში გადანაწილდებიან. უმაღლეს ლიგაში 14 გუნდი წილისყრის შედეგად ორ ჯგუფში გადანაწილდება, სადაც 7-7 კლუბი ორ წრედ ითამაშებს. ორივე ჯგუფის ბოლოადგილოსანი პირდაპირ ქვედა ლიგაში დაქვეითდება, ხოლო მე-5 და მე-6-ადგილოსნები ჯვარედინად დაწყვილდებიან და 2-მატჩიან პლეიაუტში 2017 წლის სეზონისთვის (რომელიც გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ჩატარდება) უმაღლესი ლიგის საგზურის მფლობელს გაარკვევენ.

პლეიოფი გაარკვევს უეფას თასის მონაწილეთა ვინაობასაც: მე-2 და მე-3-ადგილოსნები, ასევე ჯვარედინი დაწყვილებით, გამოავლენენ საუკეთესოებს, რომლებიც ნეიტრალურ მოედანზე ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოლებენ, ხოლო ჩემპიონის ვინაობა ჯგუფების გამარჯვებულთა 2-მატჩიან (შინ და გარეთ) დაპირისპირებაში გაირკვევა. გამარჯვებული ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურს მოიპოვებს, დამარცხებულს კი ევროპა ლიგის შესარჩევით მოუწევს დაკმაყოფილება.

## პირველი ლიგა

პირველ ლიგაში კიდევ უფრო დაძაბული და მაპროვოცირებელი ფორმატია. აქ სულ 18 გუნდი ითამაშებს. ისინი 9-9-გუნდიან ორ ჯგუფში გადანაწილდებიან. ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდები (ანუ, სულ - 6) ავტომატურად დატოვებენ პირველ ლიგას.

ჯგუფებში 2-2 საუკეთესო რანგით მეორე ლიგაში თამაშის უფლებას მოიპოვებს, რომელთაც უმაღლესი ლიგიდან დაქვეითებული ოთხი გუნდი დაემატება. დარჩენილი ორი გუნდის ვინაობას პირველი ლიგის ჯგუფებში III-VI ადგილებზე გასულთა პლეიაუტი გამოარკვევს.

ერთი ჯგუფის მე-3 გუნდი მეორე ჯგუფში მე-6 ადგილზე გასულს, მე-4 კი მე-5-ს გაეჯიბრება ორმატჩიან დაპირისპირებაში. აქედან 4 გამარჯვებული იმ ნახევარფინალურ წყვილებს გამოავლენს, თუ ვინ ითამაშებს პრო2 ლიგაში და ვინ - ეროვნულ ლიგა 1-ში.

აქაც, ჯგუფებისა და კალენდრის წილისყრა "ბასაში" დღეს, 13 ივნისს გაიმართება, ოღონდ - 16 საათზე. ჯგუფებში მოწინავენი მეორე წინა გათამაშების გამარჯვებულები - ცხინვალის "ლიახვი" და თბილისის "ვიტ ჯორჯია" იქნებიან.

## საქართველოს თასი

ევროტურნირებზე ასევე მოხვდება თასის გამარჯვებული: დავით ყიფიანის სახელობის თასის 2016 წლის გათამაშებაში უმაღლესი და პირველი ლიგის მხოლოდ 32 გუნდი ითამაშებს. ყველა რაუნდში გამარჯვებული ერთმატჩიან დაპირისპირებაში გაირკვევა. პირველ ეტაპზე პირველი ლიგის 8 დაბალრეიტინგიანი გუნდი 4 გამარჯვებულს გამოავლენს, რომლებიც პირველი და უმაღლესი ლიგების 10-10 გუნდთან ერთად 12 წყვილს შექმნიან. 1/8 ფინალიდან კი მათ ევროთასების მონაწილე ოთხეული დაემატება.

## შეუჩერეს და აღუდგინეს

აღმასკომმა დაამტკიცა 28 ივნისს გასამართავი XXVI ყრილობის საპროცედურო რეგლამენტი. ასევე, საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე, რუსთავის "მეტალურგს" შეუჩერა სფფ-ის წევრობა, საქართველოს ფუტსალის ასოციაციას პირიქით - შეჩერებული წევრობა აღუდგინა.

## იაშვილი მეოთხეა...

აღმასკომზე გადაწყდა, რომ ფეხბურთის ფედერაციას მეოთხე ვიცე-პრეზიდენტი ეყოლება და ამ პოსტზე **ალექსანდრე იაშვილი** დაამტკიცა. 38 წლის იაშვილმა კარიერა ახლახან, თბილისის "დინამოში" დაასრულა. ცნობილი გახდა, რომ ვეტერანი ფეხბურთელი კონკრეტულად ეროვნული ნაკრების მიმართულებით იმუშავებს, მაგრამ მის ფუნქციაში ასაკობრივი ნაკრებები არ შევა.

*"ეროვნული ნაკრები ქვეყნის სახეა და ამ თანამდებობაზე მუშაობა დიდი პატივია. რაც შეეხება ეროვნული ჩემპიონატის ახალ ფორმატს, ის მისაღებია. ყველა გუნდს 14 თამაშის ჩატარება უწევს. ამას გარდა, კლუბები ითამაშებენ საქართველოს თასსა და ევროტურნირებზე, ფეხბურთელთა გარკვეული ნაწილი - ეროვნულსა თუ ასაკობრივ ნაკრებებში. პირადად მე, გარდამავალ ჩემპიონატში დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი"*, - ამბობს იაშვილი.

## ლიმიტები მოხსნილია

ფეხბურთის ფედერაციისა და კლუბების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე, სადაც გარდამავალი ჩემპიონატის ახალ ფორმატზე იმსჯელეს, კლუბებმა სხვა საკითხები და მოთხოვნებიც წამოსწიეს.

"ლელომ" უკვე გაგაცნოთ ბათუმის "დინამოს" სპორტული დირექტორის **მალხაზ მახარაძის** მოსაზრება. ბათუმელთა ინიციატივა იყო, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ლეგიონერებზე ლიმიტი გაზრდილიყო, რადგან აქამდე უფასოდ მხოლოდ 3 უცხოელის დარეგისტრირება იყო შესაძლებელი. მახარაძის თქმით, კლუბებმა მეორე წინადადებასაც დაუჭირეს მხარი: უმაღლესი ლიგის გუნდის ძირითად შემადგენლობაში დაკანონდა ორი 21-წლამდელი ფეხბურთელის შეყვანა, რაც, ბათუმელთა აზრით, მიუღებელი იყო.

სფფ-ის აღმასკომმა ეს შენიშვნები გაითვალისწინა და დებულებაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანა: ამიერიდან, ორი 21-წლამდელის ძირითად შემადგენლობაში დაყენების აუცილებლობა მოიხსნა, ხოლო ლეგიონერთა რაოდენობა გაიზარდა - კლუბებს განაცხადში სარეგისტრაციო გადასახადის გარეშე 3 ლეგიონერის ნაცვლად 5-ის შეყვანა შეეძლებათ. ოღონდ, ეგ არის, რომ ლეგიონერების მიმართ მოთხოვნები გამკაცრდა და გაურკვეველი დონის უცხოელთა ჩამოყვანის აღსაკვეთად, კლუბებს მოეთხოვათ, რომ ორ ლეგიონერს საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში, 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ, ერთხელ მაინც უნდა ჰქონდეს ნათამაშები.

რამდენად შესაძლებელია ჩვენთან ასეთი ლეგიონერის ჩამოყვანა, ამის თქმა ძნელია. მაგრამ პლაჟის ფეხბურთელებში ფულის კეთების დრო რომ უნდა დასრულდეს, ამაზეც ორი აზრი არ არის...

*დავით მუჯირი*

# ძალიან საინტერესო ჩემპიონატი გველის

**აღმასკომის სხდომის დასრულების შემდეგ კომენტარი გააკეთა სფფ-ის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა...**

"აღმასკომს პროექტი კლუბების მოსაზრებების გათვალისწინებით წარვუდგინეთ და გადაწყვეტილებაც მივიღეთ. უმაღლეს ლიგაში თამაშები 7 აგვისტოს დაიწყება და 15 დეკემბრამდე გაგრძელდება. იმედია, რომ ძალიან საინტერესო ჩემპიონატი გველის. უმაღლეს ლიგაში გადმოსული 2 კლუბი ულიცენზიოდ დარჩა და დებულებაში ცვლილებები აქედან გამომდინარე შევიდა. მოგეხსენებათ, გარდამავალი ჩემპიონატია და კენტი რაოდენობის გუნდების პრობლემა უეფას თასზეც არსებობდა, სადაც ჯგუფებში 5 იყო. ასე რომ, ვერ ვიტყვი, თითქოს ეს უსამართლო ფორმატია. გუნდები ჯგუფებში დასრულებულ სეზონში დაკავებული ადგილების მიხედვით მოხვდებიან. წილისყრისას კლუბები თავად აირჩევენ ჯგუფსა და კალენდარში საკუთარ ნომერს", - ამბობს მუჯირი.

**მერაბ მამულაშვილი**

ჩიხურა

ვიდეოტონთან მატჩის შემდეგ

# ავსტრიული შეკრება: სტარტი მოგებით

ქართული კლუბებიდან ევროპა-ლიგისთვის მზადებას ყველაზე ადრე საჩხერის "ჩიხურა" შეუდგა. გუნდი უკვე ავსტრიულ შეკრებაზეა. საჩხერელთა მთავარმა მწვრთნელმა **სოსო ფრუიძემ** ალპებში 19 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: **დინო ჰამზიჩი, კოსტანტინე სეფიაშვილი, ნიკა ქავთარაძე**;

მცველები: **შოთა კაშია, გიორგი რეხვიაშვილი, ლევან კაკუბავა, თორნიკე გრიგალაშვილი, ლაშა ჩიკვაიძე**;

ნახევარმცველები: **დენის დობროვოლსკი, გიორგი განუგრავა, გიორგი ივანიშვილი, საბა ლობჟანიძე, გიორგი კორიფაძე**;

თავდამსხმელები: **თორნიკე მუმლაძე, ბესიკ დეკანოიძე, დიმიტრი ტატანაშვილი, მიხეილ სარდალიშვილი, გიორგი გაბედავა, ირაკლი ლეკვთაძე**.

საჩხერელებმა შეკრებაზე 4 ამხანაგური შეხვედრა დაგეგმეს, რომელთაგან პირველი 11 ივნისს, უნგრული "ვიდეოტონის" წინააღმდეგ გამართეს. 58-ე წუთზე **თორნიკე მუმლაძის** მიერ გატანილი გოლით "ჩიხურამ" 1:0 გაიმარჯვა.

ჩიხურა: **ჰამზიჩი (სეფიაშვილი), გრიგალაშვილი (კორიფაძე), შ. კაშია, კაკუბავა, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, განუგრავა, ს. ლობჟანიძე (გაბედავა), ლექვთაძე (სარდალიშვილი), ივანიშვილი (დეკანოიძე), ტატანაშვილი (მუმლაძე).**

15 ივნისს "ჩიხურა" კიდევ ერთ უნგრულ კლუბს, მტკ-ს შეხვდება, ხოლო 18 ივნისს - მაკედონიის "ვარდარს". მეტოქე, რომელსაც საჩხერელები 21 ივნისს დაუპირისპირდებიან, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

**მერაბ მამულაშვილი**

*ფოტო FC ჩიხურას ფეისბუქის გვერდიდან*

ამბები

## როდის დაბრუნდება რევიშვილი?

ესპანეთის ნაკრებთან დაშავებული საქართველოს ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილი** დღემდე მადრიდშია და მკურნალობს.

მან ყვრიმალის ძვლის ტრავმა მიიღო და 8 ივნისს იქვე ერთ-ერთ კლინიკაში ოპერაციაც გაუკეთეს. სფფ-ის პრესსამსახურის ცნობით, რევიშვილი თავს უკვე კარგად გრძნობს და საქართველოში უახლოეს დღეებში დაბრუნდება, ვარჯიშს კი, სავარაუდოდ, რამდენიმე კვირაში განაახლებს.

ის მადრიდში ნაკრების ექიმის, **მერაბ ვარძუკაშვილის** მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

**მერაბ მამულაშვილი**

## სიონი: გაბალა და კასრაძე

ბოლნისის "სიონი", რომელმაც რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შეიმატა, მთავარი მწვრთნელის, **არმაზ ჯელაძის** ხელმძღვანელობით ახალი სეზონისთვის სამზადისს შეუდგა. ქვემოქართლელებმა ამხანაგური მატჩიც დაგეგმეს. გადაწყვეტილი ამბავია, რომ 22 ივნისს "სიონი" აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს, "გაბალას" დაუპირისპირდება. "მიხეილ მესხზე" მატჩი 17 საათზე დაიწყება.

ამასობაში, 26 წლის მცველი **ლაშა კასრაძე** ბაქოს "ინტერიდან" საქართველოში დაბრუნდა და "სიონში" ჩაირიცხა. კასრაძე "ვიტ ჯორჯიას" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. აზერბაიჯანში ის ჯერ აზალ-ის ღირსებას იცავდა, რის შემდეგაც ბაქოს "ინტერს" მიაშურა და საკმაოდ ხშირადაც ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში.

"სიონის" დაცვა კასრაძის დამატებით მნიშვნელოვნად გაძლიერდება. არის ერთი საგულისხმო გარემოებაც - აქამდე, ჩვენი ფეხბურთელები აზერბაიჯანში ერთიმეორის მიყოლებით გარბოდნენ, ახლა კი უკანაც ბრუნდებიან.

**ალეკო კაკაურიძე**

## ანორთოსისმა მაისურაძეს ახალი კონტრაქტი გაუგზავნა

ჯერაც გაურკვეველია, რომელ გუნდში დაიწყებს სეზონს 27 წლის ნახევარმცველი **ირაკლი მაისურაძე**. როგორც იცით, მას "ანორთოსისთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა.

ბოლო ინფორმაციით, მისი გადაბირება რამდენიმე კვიპროსულ კლუბს სურდა. მათ შორის, განსაკუთრებით აქტიურობდა "ომონია", სადაც ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი ჩვენებური - **უჩა ლობჟანიძე** თამაშობდა.

გუშინ "ლელო" კვიპროსში შეეხმიანა მაისურაძეს და მომავალზე კომენტარი სთხოვა:

*"საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ამისთვის ცოტა დრო კიდევ მჭირდება. სხვათა შორის, "ანორთოსისმა" ახალი კონტრაქტი გამომიგზავნა და ამაზეც ვფიქრობ. პარალელურად, ძალაშია "ომონიას" ინტერესიც. ცოტაც და საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებ"*, - გვითხრა მაისურაძემ.

**ალეკო კაკაურიძე**

## ახალკაცი სენტ-ეტიენში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** საფრანგეთის ქალაქ სენტ-ეტიენში გასამართავი ევროპის ჩემპიონატის მატჩების დირექტორი იქნება. ამ ამბავს ბეჭედი უეფამ დაუსვა.

მთლიანობაში, ამ ქალაქის მთავარ არენა "ჟოფრუა გიშარზე" 4 მატჩი გაიმართება: 14 ივნისს პორტუგალია ისლანდიას შეხვდება, 17 ივნისს ხორვატია-ჩეხეთია, 20 ივნისს ინგლისი სლოვაკეთთან გაარკვევს ურთიერთობას, ხოლო 25 ივნისს ერთ-ერთი მერვედფინალური მატჩიც გაიმართება.

სულ საფრანგეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატს 10 დირექტორი ჰყავს. უეფაში დაფასებულ ახალკაცს ეს პატივი მესამედ ერგო.

**ალეკო კაკაურიძე**

# სირბილაძის დუბლი, ცხადაძის სერია

**პარასკევ-შაბათს ევროპასა და აზიაში რამდენიმე ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა...**

ბელარუსის ჩემპიონატის მე-11 ტურში მოზირის „სლავიამ" ერთპიროვნულ ლიდერ ბატე-ს მოუგო - 2:1. ამ შეხვედრაში **პაპუნა მოსემღვდლიშვილმა** 90 წუთი ითამაშა, ხოლო **იაკობ აფხაზავა** მასპინძელთა სათადარიგოთა სკამზე იჯდა. 73-ე წუთზე მოსემღვდლიშვილმა გამარჯვების გოლი გაიტანა. „სლავია" 18 ქულით მეოთხე ადგილზეა.

**ვაკო გვილიას** „მინსკი" დედაქალაქის დერბიში „დინამოსთან" 0:1 დამარცხდა. ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა. „მინსკი" 17 ქულით მეხუთე ადგილზეა. გვილიასა და მოსემღვდლიშვილს ჩემპიონატში 3-3 გოლი აქვთ გატანილი.

უზბეკეთის ჩემპიონატის მე-11 ტურში **გიორგი კვესიეშვილის** „ყიზილყუმი" სტუმრად „ბუნიოდკორთან" დამარცხდა - 0:2. „ყიზილყუმი" 18 ქულით მე-6 ადგილზეა.

**კახა მახარაძის** „ლოკომოტივმა" 3:1 დაამარცხა „ბუხორო". ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა. „ლოკომოტივი" 31 ქულით ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია.

ფინეთის რანგით მეორე, იუკონენ-ლიგაში კპვ-მ სტუმრად 3:2 მოუგო „ჯაზს". ამ შეხვედრაში კოკოლელთა რიგებში დუბლი შეასრულა ვეტერანმა ფორვარდმა **ირაკლი სირბილაძემ**. მან 56-ე და 62-ე წუთებზე გაიტანა. სირბილაძემ შეუცვლელად ითამაშა, ხოლო კპვ 19 ქულით ჩემპიონატის ლიდერია.

გოგიტა გოგუას დებიუტი „ორდაბასის" რიგებში მისი ყოფილი გუნდის, „ირტიშის" წინააღმდეგ შედგა. „ორდაბასიმ" „ირტიშს" 2:0 მოუგო, ხოლო გოგუამ ყვითელი ბარათი მიიღო. ეს მისი მეოთხე გაფრთხილება იყო სეზონში. ასე რომ, გოგიტა **კახა ცხადაძის** „ქაირათის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს შემდეგ ტურში. „ორდაბასი" 23 ქულით მე-5 ადგილზეა.

**კახა ცხადაძის** „ქაირათმა" სტუმრად 5:0 მოუგო ყარაღანდის „შახტიორს". ეს კახა ცხადაძის გუნდის ზედიზედ მერვე გამარჯვება იყო (თასის ერთი თამაშის ჩათვლით), „ქაირათი" 29 ქულით მესამე ადგილზეა, ქართველი სპეციალისტი sports.kz-მ ტურის მწვრთნელად დაასახელა.

**გიორგი აბურჯანია** სათადარიგო იყო „ოსასუნასთან" პლეი ოფის მატჩში, რომელშიც „ხიმნასტიკი" 2:3 დამარცხდა და ელიტის საგზურზე ოცნებას დაემშვიდობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მარცხნივ ირაკლი სირბილაძე

# თსუ საქართველოს ჩემპიონია!

10 ივნისს, ახალმა სპორტის სასახლემ, საქართველოს ფუტსალის ლიგის 2016 წლის გათამაშების დასკვნით სათამაშო დღეს უმასპინძლა. გაირკვა წლევანდელი გათამაშების გამარჯვებულის ვინაობაც - საქართველოს ფუტსალში ახალი ჩემპიონი ყავს, ეს ტიტული **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** გუნდმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში მოქმედ ჩემპიონს **სტუ-თელასს** აჯობა მინიმალური სხვაობით **1-0**.

ფინალურ შეხვედრამდე გაიმართა მატჩი მესამე ადგილისათვის, რომელშიც ერთმანეთს **აფხაზეთი** და **თბილისი** დაუპირისპირდნენ. ორივე გუნდი სადებიუტო ტიტულისთვის იბრძოდა, რამაც შეხვედრას დამატებითი ინტრიგა შესძინა და საბოლოოდ გულშემატკივარმა ნამდვილი საფეხბურთო თრილერი იხილა, რომელიც თბილისის გამარჯვებით **8-7** დასრულდა.

საყაიმო ანგარიშით დასრულებული პირველი ტაიმის შემდეგ (1-1), მთავარი მოვლენები შეხვედრის მეორე ნახევარში განვითარდა. აფხაზეთის ფეხბურთელები ტაიმის დასაწყისშივე სამი ბურთით დაწინაურდნენ და მეტოქეც თითქოს უიმედო მდგომარეობაში ჩააგდეს, მაგრამ თბილისის ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზუსტად ხუთ წუთში მათ არათუ ანგარიშის გათანაბრება, არამედ დაწინაურებაც მოახერხეს (5-4).

ამის შემდეგ მოვლენები ისევ რადიკალურად განვითარდა და ამჯერად, მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე აფხაზეთი ორ ბურთიან უპირატესობას დაეუფლა (7-5), თუმცა ვერც ამ მომენტმა იქონია „დედაქალაქელებზე" უარყოფითი გავლენა. მათ საოცარი თავდადება და ბრძოლის ჟინი გამოავლინეს და შეხვედრის დასრულებამდე 28 წამით ადრე, ლევონ ცეცაძემ გამარჯვების გოლის გატანა მოახერხა (8-7). აღსანიშნავია, რომ „თბილისის" ფეხბურთელები სადებიუტო ბრინჯაოს მედლებს, სადებიუტო სეზონშივე დაეუფლნენ.

სათამაშო დღის კულმინაცია კი უდავოდ ფინალური დაპირისპირება გამოდგა, რომელიც სრული ანშალგის ფონზე, საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა და მინი ფეხბურთისთვის უჩვეულო ანგარიშით დასრულდა.

ფინალური დაპირისპირების წარმდგენმა „ევროპაბეთმა", ქართული ფუტსალის ისტორიაში პირველად, მატჩზე ფსონების მიღება უზრუნველყო, რამაც აღნიშნულ დაპირისპირებას დამატებითი ინტრიგაც შესძინა.

ამ შეხვედრას ორივე ფინალისტი სერიოზული საკადრო პრობლემებით შეხვდა. „სტუდენტებს" ერთბაშად სამი(!) ძირითადის ფეხბურთელი აკლდათ - ზურაბ ლუკავა მატჩს ტრავმის გამო ტოვებდა, ხოლო შოთა ჭანყვაძე და ლევან კობაიძე დისკვალიფიკაციის გამო დააკლდნენ გუნდს. „ენერგეტიკოსებმა" კი ასევე ტრავმის გამო, მათი ლიდერი შოთა თოფურია მოისაკლისეს.

მიუხედავად ამისა, ორივე გუნდი ბოლომდე დაიხარჯა და მატჩიც საკმაოდ საინტერესო საყურებელი გამოდგა. მთელი შეხვედრის განმავლობაში ორივე გუნდის კართან არაერთი საგოლე ეპიზოდი შეიქმნა, თუმცა ხან შემტევები სცოდავდნენ, ხანაც მეკარეები იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე. გამარჯვების გოლი კი მატჩის დასრულებამდე 1:11 წუთით ადრე გავიდა და მისი ავტორი თსუ-ს შემტევი ლაშა სიგუნავა გახდა. ამის შემდეგ თელასმა შეტევა ხუთი მოთამაშით განაგრძო, თუმცა მცირე დროში ვერაფერს გახდა და ჩემპიონის ტიტული მეტოქეს გადაულოცა.

მატჩის დასრულების შემდეგ, გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც გუნდებთან ერთად სეზონის გამორჩეული ფეხბურთელებიც დაჯილდოვდნენ.

ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ, თსუ-ს კიპერი **ჯაბა ჯამბურია** დასახელდა, საუკეთესო მცველის ტიტული თელასის ლიდერს, **შოთა თოფურიას** გადაეცა, საუკეთესო უნივერსალად ასევე თელასის ფეხბურთელი **გიორგი სოზაშვილი** დასახელდა.

ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელი გახდა ფინალში ერთადერთი გოლის ავტორი **ლაშა სიგუნავა**, ჩემპიონატის ბომბარდირის წოდება 25 გატანილი გოლით, აფხაზეთის შემტევეს **მელტონ ახალაიას** ერგო. გამორჩეული ფეხბურთელები ქართული ფუტსალის ვეტერანებმა, **ზაალ ჩიტალაძემ, ალე ძაბირაძემ, გოგა ალთუნაშვილმა, ანდრო მიზანდარმა** და **დავით სოლოღაშვილმა** დაჯილდოვეს.

რაც შეეხება საქართველოს ფუტსალის ლიგის 2016 წლის გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელს, იგი თსუ-ს თავდამსხმელი, **გია ნიკვაშვილი** გახდა, რომელსაც ჯილდო და სამახსოვრო პრიზი სფფ-ს გენერალურმა მდივანმა **დავით მუჯირმა** გადასცა.

ვერცხლის და ბრინჯაოს მედალოსნები სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტმა, **ალექსანდრე იაშვილმა** დაჯილდოვა. ჩემპიონს კუთვნილი ოქროს მედლები და თასი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა და სპორტული სააგენტო SBM-ის დირექტორმა, ზაალ ჩიტალაძემ გადასცეს.

10.06.2016. საქართველოს ფუტსალის ლიგა

**მატჩი III ადგილისათვის**

**თბილისი – აფხაზეთი 8–7 (1–1)**

**გოლები**: 6:54 ხახაშვილი (1-0), 17:47 ახალაია (1-1), 21:52 ახალაია (1-2), 23:25 ახალაია (1-3), 26:12; სებისკვერაძე (1-4), 27:02 რეხვიაშვილი (2-4), 28:11 კარაპეტიანი (3-4), 28:44 მხითარიანი (4-4), 31:30 ხახაშვილი (5-4), 34:10; სებისკვერაძე (5-5), 35:23 ახალაია (5-6), 35:57 ახალაია (5-7), 36:20 რეხვიაშვილი (6-7), 38:22 კარაპეტიანი (7-7), 39:32 ცეცაძე (8-7)

**გაფრთხილებები**: 6:54 ხახაშვილი (თბ), 18:20 ხარაიშვილი (აფხ), 39:44 კარაპეტიანი (თბ)

**თბილისი**: ი. გედენიძე, მხითარიანი, კარაპეტიანი, ჭელიძე, რეხვიაშვილი **სათ.**: დ. თურმანიძე, ცეცაძე, ჯანელიძე, ხახაშვილი

**აფხაზეთი**: გელაშვილი, ხარაიშვილი, ღუღუნიშვილი, სებისკვერაძე, ახალაია **სათ.**: ლ. ლეჟავა, ფიფია, შველიძე, ქეშელაშვილი, ტვილდიანი, გოგოლაძე, რ. გედენიძე

10.06.2016. საქართველოს ფუტსალის ლიგა

**ფინალი**

**თსუ – სტუ-თელასი 1–0 (0–0)**

**გოლები:** 38:49 სიგუნავა (1-0)

***გაფრთხილებები***: 12:06 ასათიანი (თელ), 39:53; სიგუნავა (თსუ), 39:53 გაბუჩია (თელ)

**თსუ:** ჯამბურია, ბობოხიძე, კაკაბაძე, სიგუნავა. ჭუმბურიძე **სათ.**: ნიკვაშვილი, ქურცაძე, სანიკიძე

**სტუ-თელასი**: გაბუჩია, სოზაშვილი, ასათიანი, დევდარიანი, შელეგია **სათ.**: წვერავა, თარხნიშვილი, მამულაშვილი, ცხომარია, კურბანოვი, მერკვილაძე

*საქართველოს ფუტსალის ლიგის ტექნიკური პარტნიორები არიან გერმანული სპორტული ბრენდი **SALLER*** და ესპანური სპორტული ბრენდი **JOMA**

. ფინალური შეხვედრის წარმდგენია **„ევროპაბეთი".**

ღონისძიების პარტნიორები და მხარდამჭერები არიან: იურიდიული ჯგუფი „ერისთავი და პარტნიორები", „ტატიშვილის სამედიცინო და სპორტული რეაბილიტაციის ცენტრი", „წყალი მარგებელი", SPORT City , Apple City

მედიაპარტნიორები: რადიოები - „იმედი", JAKO FM, „კომერსანტი", ვებპორტალები - mysports.ge, sportall.ge, worldsport.ge, goal.ge, და გაზეთი „ლელო".

**სპორტული სააგენტო SBM-ის პრესსამსახური**



მარცხნივ ირაკლი სირბილაძე

დაბრუნება

# ლომაია ისევ დინამოელია

დადასტურდა ცოტა ხნის წინ „ლელოს" მიერ ექსკლუზიურად მოპოვებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბაქოს „ინტერის" 36 წლის კარის დარაჯი **გიორგი ლომაია** კარიერას თბილისის „დინამოში" გააგრძელებდა.

თავის დროზე ლომაიამ დიდი ფეხბურთის გზა სწორედ „დინამოში" დაიწყო. შემდეგ მან არაერთი გუნდი გამოიცვალა - „მერანი", „ლოკომოტივი", მოსკოვის „სპარტაკი", „ხიმკი", „ლუჩ ენერგია", „კარლ ცაისი", „კარპატი", რუსთავის „ოლიმპი", ბაქოს „ინტერი"... „დინამოში" კი ბოლოს 1999 წელს ირიცხებოდა.

ლომაიას დამატებით „დინამომ" მართებული ნაბიჯი გადადგა. სათამაშო ფაქტორების გარდა, ეს ნაბიჯი სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი. ის აუცილებლად გაუზიარებს თავის დიდ გამოცდილებას ახალგაზრდა პარტნიორებს...

მოგეხსენებათ, „დინამო" დატოვეს მეკარეებმა - **ლიბორ ჰრდლიჩკამ** და **გიორგი ბეგაშვილმა**, უახლოეს დღეებში თბილისში უცხოელ მეკარეს ელოდებიან. ერთ-ერთი ვარიანტი ესპანური „გრანადას" ხორვატი კიპერის, **ივან კელავას** ქართულ გუნდში გადმოსვლაა, რაზეც „ლელო" ასევე წერდა.

რაც შეეხება „ინტერის" მეორე ქართველს, 34 წლის **ზურაბ ხიზანიშვილს,** მას კლუბმა ახალი კონტრაქტი გაუგზავნა. როგორც ხიზანიშვილმა აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს უთხრა, ის ჯერაც ფიქრობს და რამდენიმე დღეში მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

„ინტერის" მესამე ქართველი, საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი **ნიკა კვეკვესკირი** კი ახლოსაა „გაბალაში" გადასვლასთან.

**ალეკო კაკაურიძე**

გიორგი ლომაია

## განცხადება

საფეხბურთო სპორტული კლუბი „ჰერეთი" ეროვნულ ლიგაში სათამაშოდ იწვევს 2000-2001 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს.

შერჩეულები იცხოვრებენ სპორტული სკოლის ბაზაზე, უზრუნველყოფილნი იქნებიან სამჯერადი კვებით, ისწავლიან ადგილობრივ საჯარო სკოლაში და ყოველთვიური ანაზღაურება ექნებათ 3 000 (სამი ათასი) ლარი.

რაგბი. ტესტები

# ფრე კუნძულებზე

**სამოა-საქართველო 19:19**

**საქართველო** (15-9) კვირიკაშვილი (მალალურაძე 72), ფრუიძე (მჭედლიძე 72), კაჭარავა, შარიქაძე, თოდუა, ხმალაძე, ბეგაძე (ხუციშვილი 59). (1-8) ასეიშვილი (ჟვანია 51), ბრეგვაძე (მამუკაშვილი 51), მირცხულავა (ფეიქრიშვილი 51), ჩხაიძე (ჭეიშვილი 71), ნემსაძე, სუთიაშვილი (შუბითიძე 71), თხილაიშვილი, ლომიძე.

**ლ:** თხილაიშვილი. 4ს,გ: კვირიკაშვილი

**სამოა** (15-9) ნიკორო, ტანგავაია (ფალანიკო 76), ლილო, მასანგა, ლემი, პალე (ლეუილა 80), პოლატაივო (ტალა 80). (1-8) აიონო (ლენე 76), მატუჰუ (ლემი), ჯონსტონი (გრეი 59-70), ლემალუ (ალოფიპო 71), ფაჰოსილივა, იოანე (ფაჰაფოუ 66), ლეპა.

**ლ:** ლემი. 4ს,გ: პალე

**მსაჯი:** ბენ ოქიფი (ახ.ზელანდია)

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრებმა ივნისის ტესტების პირველი მატჩი სამოას დედაქალაქში გამართა. "ბორჯღალოსნებმა" სამოას ეროვნულ გუნდთან ფრედ 19:19 ითამაშეს.

ჩვენი გუნდისთვის არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში გამართული მატჩი საინტერესო გამოდგა და ქართველ მორაგბეებს გამარჯვების მოპოვებაც რეალურად შეეძლოთ. პირველი ტაიმი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ბორჯღალოსნების" უპირატესობით წარიმართა და მათ სასარგებლოდ 9:6 დასრულდა.

თუმცა, რომ არა სრულიად ელემენტარული შეცდომები, რის გამოც საჯარიმოთი დავისაჯეთ, ანგარიშში სხვაობა მეტიც უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ცხრა ქულა გუნდს სამი საჯარიმო დარტყმით ფულბეკმა **მერაბ კვირიკაშვილმა** მოუტანა, რომელმაც თავისი 92-ე კეპი მოიხვეჭა. ამდენივე კეპი აქვს შუამარბ **დავით კაჭარავასაც,** ერთით ნაკლები მიითვალა **გიორგი ჩხაიძემ.**

მეორე ტაიმი ჩვენი გუნდისთვის ცუდად დაიწყო. ხუთ წუთში სამოელებმა ჯერ ანგარიში გაათანაბრეს და მერე ლელოც გაიტანეს - 16:9. ეს 44-ე წუთზე მოხდა.

ქართველ მორაგბეებს ანგარიშის გასათანაბრებლად დიდი დრო არ დაუხარჯავთ. ხუთ წუთში "ბორჯღალოსნებმა" მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში დერეფანი მოიგეს, მოლი შეკრეს და ჩათვლის მოედანში იოლად შეაღწიეს. ბოლოს ბურთით ხელში მესამეხაზელი გიორგი თხილაიშვილი იყო. კვირიკაშვილმა ესეც გარდასახა - 16:16.

მერაბ კვირიკაშვილი

თამაშის დასრულებამდე 18 წუთით ადრე გუნდებმა კიდევ თითო საჯარიმო გაცვალეს - 19:19. დარჩენილ დროში საქართველოს ნაკრებს მატჩის მოგებაც შეეძლოთ. ჯერ შეცვლაზე შესულმა ლაშა მალაღურაძემ 47 მეტრიდან საჯარიმო ვერ გაიტანა. მერე, როცა თამაშის დრო უკვე დასრულებული იყო, მორკინალებმა მგეზავ **ლაშა ხმალაძეს** არეკნისთვის სივრცე გაუთავისუფლეს, მაგრამ მისი დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

■ ■ ■

ივნისის ტესტებზე ორი მატჩი მოულოდნელი ანგარიშით დასრულდა. ინგლისის ნაკრებმა სტუმრად სძლია ავსტრალიის ეროვნულ გუნდს - 39:28. ირლანდიელებმა კი, ასევე სტუმრად მოუგეს სამხრეთ აფრიკას - 26:20.

**ტესტები**

| | |
|---|---|
| ახ.ზელანდია-უელსი | 39:21 |
| ავსტრალია-ინგლისი | 28:39 |
| ს.აფრიკა-ირლანდია | 20:26 |
| არგენტინა-იტალია | 30:24 |
| კანადა-იაპონია | 22:26 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. მსოფლიოს ჩემპიონატი, U-20

# ვითამაშეთ ხასიათით და გულით

ბურთით მირიან მოდებაძე, მარცხნივ ბექა გორგაძე

**საქართველო-უელსი 9:10**

**საქართველო** (15-9) მოდებაძე, მიმინოშვილი, კოშაძე, კვესელაძე, მერკვილიშვილი, მოძღვრიშვილი (ლობჟანიძე 54), აფრასიძე. (1-8) მატარაძე (ნეფარიძე 50), ხუროშვილი (გოგინავა 48), ტაბიძე (მელიქიძე 48-70), ეფრემიძე, გიორგაძე, სპანდერაშვილი (ცხადაძე 64), ცუცქირიძე, გორგაძე.

3ს: აფრასიძე

მსაჯი: ჯონ კუპერი (ავსტრალია)

**მსოფლიოს** ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჯგუფური ტურნირის მეორე მატჩში უელსის ნაკრებთან, რომელიც ექვსი ერის შარშანდელი ჩემპიონია, მინიმალური ანგარიშით 9:10 წააგო.

"უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" პირველი მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად დაცვაში შესანიშნავად ითამაშეს. სამწუხაროდ, უელსელებმა მე-5 წუთზე პირველივე იერიში ლელოთი დაასრულეს, რომელიც გარდასახეს კიდეც - 7:0. ამის მერე, რაიმე ხეირიანის გაკეთების საშუალება მეტოქეს ჩვენმა ბიჭებმა არ მისცეს.

პირველ ტაიმში უელსელები შერკინებაში პირწმინდად დავჩაგრეთ. შესვენების შემდეგ, მათ შეცვლები გააკეთეს და შერკინებაში კონტრზომებს მიმართეს. შედეგად, ჩვენი უპირატესობა თამაშის ამ კომპონენტში ოდნავ შემცირდა. ერთადერთი, რაშიც უელსელებმა აშკარად გვაჯობეს, დერეფანში თამაშია.

ყველაფრის მიუხედავად, ამ თამაშის მოგება შეიძლებოდა. ისიც აღსანიშნავია, რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ბექა გორგაძე** დაასახელეს. შესანიშნავად გაისარჯა ცხრა ნომერი, 18 წლის **გელა აფრასიძეც**, რომელმაც სამი საჯარიმო გაიტანა (9 ქულა) და მატჩის მიწურულს გამარჯვების მოტანაც შეეძლო. საჯარიმო ცენტრიდან დაარტყა და ბურთი ხარიხას ქვეშ დაეცა.

*"ბევრი ვიმუშავეთ დაცვაზე, სწრაფ წამოდგომაზე და ეფექტურ ბოჭვებზე. შესაბამისად, ვეცადეთ რაკში თამაშისას ნაკლებნი ვყოფილიყავით, რათა დაცვაში დროულად გადაწყობა მოგვესწრო. ვითამაშეთ ხასიათით და გულით.*

*შეტევას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, შემდეგი თამაშისთვის ბევრი რამის გამოსწორებას ვგეგმავთ, მაგრამ რაც მთავარია, ჩვენ ბევრი რამ უნდა გამოგვესწორებინა პირველი მატჩის შემდეგ, რათა დაგვემტკიცებინა უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავისთვის, ქომაგებისა და საქართველოსთვის, რომ ჩვენ მაღალ დონეზე თამაში შეგვიძლია"* - თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ილია მაისურაძემ.**

"უელსთან თამაში ერთმნიშვნელოვნად ჩვენს აქტივში უნდა ჩაიწეროს. თამაშისთვის კარგად მოვემზადეთ - ფიზიკურად და ფსიქოლოგიურადაც. ახალი ზელანდიის ნაკრებთან მატჩის შემდეგ პირველივე დღე დაეთმო აღდგენას და ვიდეოანალიზს. შემდეგ გვქონდა დაცვის ვარჯიში, სადაც პირველ თამაშში დანახული პრობლემების გამოსწორება ვცადეთ. დავინახეთ, რომ უნდა გავშლილიყავით ბოლომდე, მოედნის მთელი სივრცე აგვეღო დაცვაში და მაქსიმალურად წინ წავსულიყავით. დაცვის ვარჯიშმა ძალიან კარგად ჩაიარა

განწყობა შეუდარებლად საბრძოლო გვქონდა. უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენთვის ასეთ გუნდებთან თამაში პატივია და გაზრდის შესაძლებლობა. ჩვენ მათთან მარცხით არაფერს ვკარგავთ, არამედ დიდ გამოცდილებას ვიძენთ. ჩვენი თავის და, ალბათ, გულშემატკივრების გარდა, აქ ჩვენგან ბევრს არაფერს ელიან, მაგრამ საქართველო სწორედ იმიტომ არის გამორჩეული, რომ ვაკეთებთ ყველაფერს განსაკუთრებულად კარგად, მაშინ როდესაც ამას ჩვენგან არ მოელიან.

ბიჭებმა მოედანზე მიიღეს პრაგმატული გადაწყვეტილებები, კარში დაარტყეს და ამან გაამართლა. მეორე ტაიმში, როდესაც უელსმაც ნახა, რომ ხელით თამაში არ გამოსდიოდა, მაღალი ბურთების აწევა დაიწყეს, თუმცა ჩვენი უკანა ხაზი მზად დახვდა ამას. ერთხელ პოზიციურ თამაშშიც ვაჯობეთ. თითქმის ყველა დაკიდებული ბურთი ავიღეთ ჰაერშივე, რაც უდავოდ მისასალმებელია. მაგრამ ფეხით თამაშიდან გამომდინარე, უელსმა ბევრად მეტი დრო გაატარა ჩვენს 22-მეტრიან ზონაში, ვიდრე ჩვენ მათ მოედანზე, ამიტომ პოზიციურ თამაშში მთლიანობაში ალბათ დავიჩაგრეთ.

კარგად შევისწავლეთ ირლანდიის მატჩი უელსთან და სანამ დრო გვქონდა, ახალ ზელანდიასთან შეხვედრაშიც დავაკვირდით. ეს არის ძალიან მოძრავი და ძალიან კარგი გუნდი, რომელმაც ზუსტად იცის, როგორ უნდა მოუგოს კონკრეტულ მოწინააღმდეგეს, კარგად იცის, სად არის მეტოქის სუსტი და ძლიერი მხარეები. თუ ამინდი ხელს შეუწყობთ, არ მგონია, ჩვენთან „ჯახით" თავი მოიკლან. შესაბამისად, ალბათ, უფრო სწრაფ და გაშლილ თამაშს შემოგვთავაზებენ." - თქვა ნაკრების მწვრთნელმა **ლადო კილასონიამ**.

■ ■ ■

ჯგუფური ტურნირის მეორე ტურში ორი სენსაცია მოხდა. ჩვენს ჯგუფში მოასპარეზე ირლანდიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონ ახალ ზელანდიას მოუგო - 33:24. არგენტინელებმა კი სამხრეთ აფრიკას სძლიეს დაძაბულ ბრძოლაში - 19:13.

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ახ.ზელანდია-ირლანდია | 24:33 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ირლანდია - 8 ქულა, 2. ახ.ზელანდია - 6, 3. უელსი - 6, 4. საქართველო - 1

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-იტალია | 38:10 |
| ინგლისი-შოტლანდია | 44:0 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ინგლისი - 10 ქულა, 2. ავსტრალია - 6, 3. შოტლანდია - 4, 4. იტალია - 0

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| არგენტინა-სამ.აფრიკა | 19:13 |
| საფრანგეთი-იაპონია | 46:14 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. არგენტინა - 8 ქულა, 2. სამ.აფრიკა - 6, 3. საფრანგეთი - 5, 4. იაპონია - 0

**ბესიკ ჯანგავაძე**

არდავიწყება

## ზურაბ მუზაშვილის ხსოვნას



**შარშან,** 13 ივნისს, მდინარე ვერეს ხეობაში დატრიალებულმა სტიქიამ ორ ათეულამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ერთი მათგანი - შს სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის სააგენტოს თანამშრომელი, ზურაბ მუზაშვილი სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს განწირულ თანამოქალაქეთა გადარჩენის მცდელობისას დაიღუპა. საქართველომ დაკარგა ღირსეული მოქალაქე და ჭეშმარიტი მამულიშვილი, ადამიანი, რომლის ამ ქვეყანაზე მოვლინებას ჰქონდა აზრი და იმქვეყნისკენ სავალი გზაც ვაჟკაცურად გალია. მართლაც რომ ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან.

დაიბადა კასპის რაიონის ისტორიულ სოფელ აღაიანში. იქვე ისწავლა 7 წელი, საშუალო განათლება კი გლდანის ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში დაასრულა. შემდეგ დაამთავრა სპორტის აკადემია მწვრთნელის სპეციალობით.

ზურაბი, ჩვენი - სამბისტების ოჯახის ღირსეული წევრი იყო. წარმატებით ასპარეზობდა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში და როცა საერთაშორისო სარბიელსაც მიუკაკუნა, სწორედ მაშინ უმუხთლა ბედმა - ტრავმა მიიღო. ნაადრევად ჩამოშორდა აქტიურ სპორტს, ოცნებად დარჩა შესაძლებლობების რეალიზება. ვერც ოჯახის შექმნა მოასწრო... 38 წლის ასაკში შემოაღამდა.

ვინც მას იცნობდა, ყველა გაიხსენებს როგორც თავმდაბალ, ალალ, უღალატო კაცს.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ზურაბ მუზაშვილი დაჯილდოვდა მედლით - სამოქალაქო თავდადებისთვის (სიკვდილის შემდეგ). თბილისში, ერთ-ერთ ქუჩას ზურაბ მუზაშვილის სახელი მიენიჭება.

**საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია**

ევროპის ჩემპიონატი
2016
ალბომის სპეციალური ფასი
3 ₾
სტიკერების ალბომი
საუკეთესო ფეხბურთელები, 24-ვე გუნდი და მათი 200-ზე მეტი სტიკერი
შეავსე ალბომი სტიკერებით სრულად და მიიღე საჩუქრად 2016 წლის ევროპის ჩემპიონი ნაკრების მაისური
სტიკერების პაკეტის ფასი
1 ₾
პაკეტში მოთავსებულია სტიკერების 5 ბლოკი (10-მდე სტიკერი)
სიახლე
იკითხეთ წიგნის მაღაზიებში, პრესის გავრცელების ჯიხურებსა და სუპერმარკეტებში. ინფორმაციისთვის დარეკეთ: 0(32) 238 38 71
www.palitral.ge
Palitra.L.Publishing

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს თასი

# ჩავაგდებთ თასში ბრინჯაოს?

**ქართველი** თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ბრინჯაოს მედლისთვის აგრძელებენ ბრძოლას ლოს ანჯელესში მიმდინარე მსოფლიოს თასზე. წუხელ, თბილისის დროით გამთენიისას, დაახლოებით დილის 04 საათის შემდეგ რევაზ მინდორაშვილის შეგირდები მესამე ადგილისთვის მასპინძელ ამერიკას შეხვდებოდნენ.ჩვენებს ამ ეტაპამდე მისასვლელად უძნელესი გზის გავლა მოუხდათ და ქვეჯგუფში გამართული სამი შეხვედრიდან ორი ფრედ დაასრულეს, რომელთაგანაც ერთი ტექნიკური ქულებით წააგეს. ეს პირველივე დრამატულ პაექრობაში მოხდა რუსებთან, რომელიც 4:4 დასრულდა, მერე კი ჩვენებმა თურქებს 7:1 მოუგეს, ხოლო ჯგუფის ბოლო შეხვედრაში წუხელ, გვიან ღამით მონღოლებს ნამდვილ თრილერში გამოჰგლიჯეს გამარჯვება - ეს პაექრობაც ფრედ დასრულდა, 4:4, თუმცა დამატებითი მაჩვენებლები ამჯერად ჩვენს სასარგებლოდ აღმოჩნდა.

## ფრე რუსებთან

რუსებთან შეხვედრა იმთავითვე ნაადრევ ფინალად მოვნათლეთ და მართლაც, დიდი მისნობა არ სჭირდებოდა იმის გამოცნობას, რომ რუსებთან მომგები ნებისმიერი გუნდი ოქროს მედლისთვის ბრძოლის მთავარი პრეტენდენტი იქნებოდა. თუმცა ლოს ანჯელესში რუსებიც გადახალისებული გუნდით ჩავიდნენ, ოღონდ მათ რამდენიმე პირველხარისხოვანი ვარსკვლავი მაინც ჰყავდათ და ეგეც არ იყოს, მათ სათადარიგოებიც იმდენად ძლიერები ჰყავთ, საჯილდაო ქვად გამოდგებიან.

ერთი სიტყვით, რუსებთან მოგების დიდი შანსი გვქონდა და შეხვედრაც ჩვენი საგრძნობი უპირატესობით დაიწყო, 2:0 დავწინაურდით. ამ უპირატესობას საფუძველი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ხინჩეგაშვილმა ჩაუყარა, ვინც **ხაჯიმურატ რაშიდოვი** 3:2 დაამარცხა. კაპიტანს მხარი კარგად აუბა ლომთაძემ - **იმამ აჯიევს** 4:1 აჯობა, თუმცა იქვე **ზურაბ იაკობაშვილი** (65) 0:6 დამარცხდა **მაგომედ კურბანალიევთან**. ტლაშაძემ მყისვე აღადგინა 2-ქულიანი უპირატესობა, როცა **რადიკ ვალიევს** იოლად მოუგო: 13:4, რითაც საერთო ანგარიში 3:1 გახადა. სამაგიეროდ, ამით რუბიკონსაც მივადექით, რადგან საქმეში რუსთა ტიტულოვანი კავკასიური სამეული ერთვებოდა. სამწუხაროდ, ჩვენი შიში გამართლდა: ევროპის მესამე პრიზიორი **ჯუმბერ ყველაშვილი** (74) ქულებით წმინდად, 0:10 დამარცხდა ოსთა მსოფლიოს ჩემპიონ **ხეტაგ ცაბოლოვთან,** ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **დავით მარსაგიშვილი** (86) დაღესტნელთა ევროპის წლევანდელ ჩემპიონ **შამილ კუდიამაგომედოვთან** 3:9 დამარცხდა, ყველაზე დასანანი მარცხი კი ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ელიზბარ ოდიკაძის** დრამატული წაგება იყო მეორე დაღესტნელთან, მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონ **აბდუსალამ გადისოვთან**:



ელიზბარ ოდიკაძე

9:10.

ამით წონების მიხედვით რუსები დაწინაურდნენ - 4:3. გენო პეტრიაშვილს ჩეჩენ **მურადინ კუშხოვთან** მოგებით ამ ანგარიშის გათანაბრება კი შეეძლო, მაგრამ აქ საქმე ქულებზე მიდგებოდა, აქ კი ისეთი ვითარება იყო, წმინდა მოგებაც არ გვყოფნიდა. საბოლოოდ პეტრიაშვილმა კუშხოვს იოლად კი მოუგო - 4:0 და საერთო ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ რუსებმა ქულებით 16:14 მოგვიგეს.

## ცვლილებები და იოლი მოგება თურქებთან

თურქებთან შეხვედრაში **რევაზ მინდორაშვილმა** ორი ცვლილება განახორციელა: 74-ში ყველაშვილი ევროპის წლევანდელმა მესამე პრიზიორმა **იაკობ მაქარაშვილმა** შეცვალა, 86-ში კი მარსაგიშვილის ნაცვლად ევროპისა და მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **სანდრო ამინაშვილი** დააყენა. ამათგან მაქარაშვილს მეტოქე არ გამოუცხადდა, ამინაშვილი კი 0:6 დამარცხდა ევროპის წლევანდელ ჩემპიონ **სელიმ იაშართან** (რუსეთიდან გადასულ ინგუშ **კოლოი კორტოევთან**). სხვა შეხვედრებში ჩვენებმა იმარჯვეს. გამოვარჩევთ ხინჩეგაშვილის გამარჯვებას **სულეიმან ატლისთან** 11:2. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ლომთაძემ 12:4 დაამარცხა **მეჰმეტ სოილერი**, იაკობაშვილმა **ბურაკ დოგანს** 10:0 აჯობა, ტლაშაძემ 8:6 მოუგო **სელაჰატინ კილიჩსალაის**, ოდიკაძემ კი პირველივე პერიოდში წმინდად მოუგო **მურენ მუთლუს**. მეტოქე არც პეტრიაშვილს გამოუცხადდა.

## თრილერი მონღოლეთთან

მოულოდნელად, ჩვენს ნაკრებს ძალიან გაუჭირდა მონღოლეთთან მოგება - ოდიკაძის და პეტრიაშვილის ვაჟკაცობამ გვიხსნა. უცნაურია, მაგრამ ორი პაექრობა წავაგეთ ფრეზე.

როგორც ყოველთვის, ხინჩეგაშვილმა ახლაც ფორა მოგვცა და აკადემიურ სტილში მოუთავა ხელი **ბეკბაიარ ერდენებატს** - 4:1. ლადომ მისთვის ჩვეულ სტილში იჭიდავა, ენერგიის დაზოგვით, პრაგმატულად, ზედმეტი მოძრაობების გარეშე, როცა ყველა ნაბიჯი, ყოველი მოქმედება მყარად ჰქონდა გათვლილი. თითქოს ცეცხლს არ ანთებდა ლეიბზე, მაგრამ ინიციატივა მისხალითაც არ დაუთმია და დამაჯერებლად მოიგო.

თუმცა ამას ორი დამზაფრავი წაგება მოჰყვა - ჯერ ლომთაძე დამარცხდა 4:4-ზე **ტოლგა ტუმენბილეგთან**, მერე კი იაკობაშვილმა 2:3 დათმო **მანდაკნარან განზორიგთან**. უფრო დასანანი ლომთაძის მარცხი იყო, რომელმაც აქტიურად დაიწყო შეხვედრა და მეტოქეს პასიურობისთვის 30-წამიანი საჯარიმო დრო ჩაურთეს. იმასაც წინაპართა სისხლმა უყივლა და ისე შეიგდო მხარზე ჩვენებური, როგორც სტეპში მისი წინაპრები ჭედილას წამოიკიდებდნენ - მართალც მშვენიერი 4-ქულიანი გდება, ლომთაძემ კი ამოსვლა და გადაყვანა მოახერხა, რითაც ანგარიში 2 ქულით შეამცირა. მეორე პერიოდში სულაც გაათანაბრა, მაგრამ ის 4-იანი უპირატესობას მეტოქეს აძლევდა. ლომთაძეს იქვე რომ დაეტრიალებინა, მოიგებდა, მაგრამ ვერ შეძლო.

ამ ვითარებაში ტლაშაძემ საერთო ანგარიში გაათანაბრა - 2:2. მან **ალტანგრელ დორცეგმედი** სამჯერ აიყვანა ფეხიდან და ისე გადააგდო - 6:2. ამას ისევ წყვილი წაგება მივაყოლეთ - მაქარაშვილი 4:5 დამარცხდა **ურუმბა პურევჯავისთან**, ამინაშვილმა კი 12:12-ზე დათმო უიტიმენ ორგოდოლისთან. არადა, სანდრომ თავიდან საკმაოდ კარგი ტექნიკაც გამოავლინა, ტაქტიკურადაც სნორად ირჯებოდა და 2.30 წუთში ანგარიში 9:0 გახადა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ ჩვენებურმა ინიციატივა დაკარგა და მეტოქემ ორჯერ გაუკეთა 4-იანი გდება, 12:11 დაწინაურდა. ამინაშვილს შეხვედრის გადარჩენა ბოლო წამებზეც შეეძლო, როცა მეტოქე ფეხიდან აიყვანა, მაგრამ ვერ გადააგდო, წრიდან გაექცა. ამით ანგარიში გათანაბრდა, თუმცა ეს მონღოლს აძლევდა ხელს.

ოდიკაძემ ანგარიში იოლად შეამცირა 3:4-მდე: **ხუდერბულგა დორიკხანდი** ძირითადად ფეხიდან აყვანით გაანადგურა, 5-ჯერ გაუკეთა ეს, მანამ წრიდანაც გაიყვანა და 4.12 წუთში 11:0 მოუგო. პეტრიაშვილიც ასევე შეუჩერებელი იყო **ჩულუმბატ ჯარგალსაიხანთან** - ტექნიკურადაც დაჩაგრა, გამძლეობითაც, დაბლიდან კარგადაც ატრიალა, ოთხწუთნახევარში წმინდად მოუგო - 11:0.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

ოქსანა კალაშნიკოვა (მარცხნივ)

# მთავარი პრიზიც, 280 ქულაც

**თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ** (რეიტინგით წყვილებში 51-ე) წარმატებით იასპარეზა ჰოლანდიურ ჰერტოგენბოშში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 250.000 დოლარი) წყვილთა პაექრობაში. იაროსლავა შვედოვასთან (ყაზახეთი, მე-8) ერთად იგი ასპარეზობის რეიტინგფავორიტი იყო. ოქსანამ და იაროსლავამ სტარტზე ვერა დუშევინასა (რუსეთი, 93-ე) და ელენა ოსტაპენკოს (ლატვია, 191-ე) სძლიეს - 7:5, 6:3, შემდეგ ჩეხები - ლენკა კუნჩიკოვა (131-ე) და კაროლინა სტუხლა (131-ე) დაამარცხეს - 7:6, 2:6, 10:7, ნახევარფინალში მათ ალექსანდრა პანოვას (რუსეთი, 62-ე) და ამრა სადიკოვიჩს (შვეიცარია, 185-ე) აჯობეს - 6:1, 6:3. მეორე ნახევარფინალში ქსენია კნოლმა (შვეიცარია, 66-ე) და ალექსანდრა კრუნიჩმა (სერბეთი, 61-ე) ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, 88-ე) და ალისონ ვან უიტვანკი (ბელგია, 197-ე) ჩამოიშორეს გზიდან - 4:6, 6:1, 10:6. გადამწყვეტ პაექრობაში კალაშნიკოვამ და შვედოვამ კნოლი და კრუნიჩი იოლად დაჯაბნეს - 6:1, 6:1 და მთავარ პრიზთან ერთად 280-280 სარეიტინგო ქულები დაიმსახურეს.

■ ■ ■

**ალექსანდრე მეტრეველმა** მოსკოვის ტურნირის (საპრიზო ფონდი 75.000 დოლარი) წყვილთა შეჯიბრებაში დმიტრი პოპკოსთან (ყაზახეთი) ერთად იასპარეზა. უკვე ვწერდით, რომ ქართულ-ყაზახურმა დუეტმა სტარტზე დენის მაცუკევიჩსა (რუსეთი) და ანდრეი ვასილევსკის (ბელარუსი) მოუგო - 6:4, 7:6. მეორე ორთაბრძოლაში ალექსანდრ იგოშინსა (რუსეთი) და ტომას ლიპოვსეკს (არგენტინა) აჯობა - 7:5, 6:4, ნახევარფინალში დავიდ პერეს სანსი (ესპანეთი) და რამკუმარ რამანატხანი (ინდოეთი) დაამარცხა - 3:6, 6:3, 10:7 და ფინალში გავიდა. მეტრეველმა და პოპკომ გადამწყვეტ პაექრობაში სათანადო მეტოქეობა ვერ გაუწიეს ფაკუნდო არგუელოსა (არგენტინა) და რობერტო მაიტინის (ვენესუელა) - 2:6, 5:7 დათმეს შეხვედრა და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

**ვაჟა დანელია**

კრივი

# ოთხი ბრინჯაო გაინაღდეს

**ანაპაში** ახალგაზრდა მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატის პირველ წრეში საქართველოს სამმა წარმომადგენელმა მოსინჯა ძალები და სამივემ გაიმარჯვა: 60 კილოში **გიორგი ჩარგაზიამ** გილვინას ლუკოსიუნისი (ლიტვა) დაამარცხა, **ესკერხან მადიევმა** რასმუს ბერგმანს (ფინეთი) აჯობა, ხოლო **გიორგი მანჯავიძემ** რიტვარს სულგა (ლატვია) ჩამოიშორა გზიდან.

მერვედფინალში რვიდან ექვსმა ჩვენებურმა წარმატებას მიაღწია: **სახილ ალახვერდიევი** (49 კგ)-ოლეგ ჩულიაჩიევი (უკრაინა) 3:0, **ოთარ ნავერიანი** (56 კგ)-აკაშ ტაქირი (ინგლისი) 2:1, ალექსანდრ პარაშივი (60 კგ. მოლდოვა)-**გიორგი ჩარგაზია** 2:1, **ესკერხან მადიერვი** (64 კგ)-ჯეისონ ჰერთი (ირლანდია) 3:0, ჰერის აკბარი (69 კგ)-**გიორგი მანჯავიძე** 3:0, **სტეფანე მხითარიანი** (75 კგ)-რის მორანი (ირლანდია) 3:0, **ნიკოლოზ ბეგაძე** (91 კგ)-რობერტას იოკულისი (ლიტვა) 3:0, **გიორგი ჭიღლაძე** (+91 კგ)-ანტონ ანტონოვი (ბელარუსი) 3:0.

**მეოთხედფინალები:** სახილ ალახვერდიევი-მასი იურვანენი (ფინეთი) 3:0, ოთარ ნავერიანი-ფილიპ მესაროში (სლოვაკეთი) 3:0, ესკერხან მადიევი-მარკ დიკინსონი (ინგლისი) 3:0, მაქსიმ ემელიანოვი (რუსეთი)-სტეფანე მხითარიანი 2:1, ვლადიმირ უზუნიანი (რუსეთი)-ნიკოლოზ ბეგაძე 3:0, გიორგი ჭიღლაძე-მიჩელ ბარტონი (შოტლანდია) 3:0.

ამდენად, ნახევარფინალში იასპარეზებენ სახილ ალახვერდიავი, ოთარ ნავერიანი, ესკერხან მადიევი და გიორგი ჭიღლაძე, რომლებმაც, სულ მცირე, ბრინჯაო გაინაღდეს.

**ვაჟა დანელია**

მძლეოსნობა

# ქართველები შორს და მაღლა

**11 ივნისს** მალტაში ევროპის მცირე ქვეყნების მძლეოსანთა ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრებაში 18 სახელმწიფოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველო რვა სპორტსმენით იყო წარდგენილი. სიგრძეზე ხტომაში რიოს ოლიმპიადის ლიცენზიატმა **ბაჩანა ხორავამ** იყოჩაღა - 8.02 მეტრით მან პირველი ადგილი დაიკავა. მეორე-მესამე ადგილებზე იზმირ სმაილაი (ალბანეთი, 7.57) და კრისტინ ტორფასონი (ისლანია, 7.05) გავიდნენ. **რომან ბადრიძეს** (6.47) მე-12 ადგილი ერგო. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა თბილისელი სიმაღლეზე მხტომელი **ვალენტინა ლიაშჩენკო,** რომელიც 190 სანტიმეტრზე გადებულ თამასასს გადაევლო. 175-175 სანტიმეტრი დაძლიეს და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს კლაუდია გურმა (ანდორა) და მლადენა პეტრუსიჩმა (ბოსნია).

დანარჩენი ჩვენი მძლეოსნები საპრიზო ადგილებს ვერ შესწვდნენ, არადა, კვარცხლბეკთან ახლოს იყო ბადროს მტყორცნელი **სალომე რიგიშვილი,** რომელსაც 49.72 მეტრით მეოთხე ადგილი ხვდა, 200 მეტრზე რბენაში **ნიკა კარტაველევმა** (22.07) მე-5 ადგილი დაიკავა. სიგრძეზე ხტომაში **ირინა მიკიტიუკი** (5.32 მ) მე-10 ადგილზე გავიდა, ხოლო **ანდრანიკ მატინიანი** 800 მეტრზე რბენაში (1.53,52) მე-15 ადგილს დასჯერდა. გუნდურში საქართველოს ნაკრები მეათე იყო.

■ ■ ■

ორი ქართველი მძლეოსანი მონაწილეობდა ისრაელის ახალგაზრდულ ჩემპიონატში და ორივემ მედალი მოიპოვა. **თემურ აბულაშვილმა** ბადრო 49.74 მეტრზე ტყორცნა და პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო **გიორგი მუჯარიძე** ბირთვის კვრაში (17.20) მეორე იყო. ორივე სპორტსმენი 19-24 ივლისს პოლონეთში 20-წლამდელთა მსოფლიოს პირველობაში მოსინჯავს ძალებს.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი. NBA. ფინალური სერია



**კლივლენდი-გ. სტეიტი 97:108**

**28:29, 27:21, 22:29, 20:29**

**კ**: ირვინგი (34+4 პასი+3 ჩაჭრა), ჯეიმსი (25+13 მოხსნა+9 პასი+3 დაფარება), ლავი (11+5 მოხსნა), ტომპსონი (10+7 მოხსნა), სმიტი (10), ჯეფერსონი (3+6 მოხსნა), დელავედოვა (2), შამპერტი (2).

**გ-ს**: კარი (38+6 პასი+5 მოხსნა), ტომპსონი (25), ბარნსი (14+8 მოხსნა), იგუოდალა (10+7 პასი+6 მოხსნა), გრინი (9+12 მოხსნა+4 პასი+3 დაფარება), ლივინგსტონი (8), ვარეჟაო (2), მაკადუ (2).

**რეალიზაციის პროცენტი**: თამაშიდან (46.9/40.7), სამქულიანები (24/47.2), საჯარიმო (57.7/80.6).

**სერია**: 1-3.

## მატჩის ციფრები

- შვიდი სამქულიანის გამოყენებით, სტივენ კარიმ პლეი ოფში 55-მდე აიყვანა მატჩების სერია, რომლის დროსაც მინიმუმ ერთ სამქულიანს აგდებდა შეხვედრაში.

- "გოლდენ სტეიტმა" მე-15 მატჩი მოიგო პლეი ოფში და 88-ე სეზონში (რეგულარული ჩემპიონატის მატჩების ჩათვლით). ეს NBA-ის ახალი რეკორდია. წინა რეკორდი (87 მოგება) "ჩიკაგო ბულზს" ჰქონდა 1995-96 წლების სეზონში.

- სერიის მეოთხე მატჩში 17 სამქულიანის გამოყენებით, "გოლდენ სტეიტმა" ფინალური სერიებისთვის ახალი რეკორდი დაამყარა. წინა რეკორდის მფლობელი (16 სამქულიანი) იყო "სან ანტონიო სპურსი".

- სტივენ კარი 38 ქულით მერვე მოთამაშე გახდა 1984 წლის შემდეგ, ვისაც ფინალურ სერიაში ასეთი მონაგარი ჰქონდა.

- კარის ფინალურ სერიებში 42 ზუსტი სამქულიანი დაუგროვდა, რითაც გაუთანაბრდა მეექვსე ადგილზე მყოფ მანუ ჯინობილისა და მაიკლ ჯორდანს დაეწია.

# კარტერი წასვლას არ აპირებს

ვეტერანის ასაკის მიუხედავად, 39 წლის **ვინს კარტერი** კიდევ ორი წელი აპირებს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშს. ასე რომ, კარიერის დასრულების მომენტში ფორვარდი 41 წლის იქნება.

კარტერმა ასოციაციაში 18 სეზონი გაატარა და "ტორონტოს", "ნიუ ჯერსის", "ორლანდოს", "ფინიქსისა" და "დალასის" ღირსებას იცავდა. ის 24-ე ადგილზეა ლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებს შორის. ვინსის ანგარიშზე 23969 ქულაა და 23-ე ადგილზე მყოფ **ალენ აივერსონამდე** 399 ქულა აკლია.

აღვნიშნავთ, რომ ასაკი სერიოზულ დაღს ასვამს კარტერის პროდუქტიულობას, ამიტომაც უცნობია, მოისურვებს თუ არა მისი ამჟამინდელი კლუბი "მემფისი" მასთან კონტრაქტის გაგრძელებას. ვინსის მოქმედი ხელშეკრულება მომავალი სეზონის ბოლომდეა ძალაში.

ბოლო ორი სეზონი ყველაზე ცუდი იყო კარტერის კარიერაში. წელს მან 60 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ, 6.6 ქულას, 2.4 მოხსნასა და 0.9 შედეგიან პასს აგროვებდა.

### პირსი დამთავრებაზე ფიქრობს

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" 38 წლის ვეტერანს **პოლ პირსს** ჯერ არ მიუღია კარიერის დასრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება. ამ საკითხთან დაკავშირებით ის უახლოეს მომავალში ჩამოყალიბდება.

*"მომავალ სეზონში ჩემი მოედანზე გამოჩენის შანსებია 51 პროცენტი 49-ის წინააღმდეგ. 51 ჩემი ხმაა, 49 - ოჯახის. ჩემი მეუღლის აზრი ჩემთვის დიდ როლს თამაშობს.*

*ნებისმიერ შემთხვევაში, კარიერის დასრულების შემდეგ, არ ვაპირებ სახლში ჯდომას. რაც არ უნდა იყოს, თუ მე 2016-17 წლების სეზონში ვითამაშებ, ეს იქნება ჩემთვის ბოლო ჩემპიონატი",* - თქვა პირსმა.

აღვნიშნავთ, რომ შარშან, პირსმა ყველაზე ცუდი სეზონი ჩაატარა კარიერაში - 68 მატჩში საშუალოდ, 6.1 ქულას, 2.7 მოხსნასა და 1.0 შედეგიან პასს აგროვებდა.



ვინს კარტერი

# კარის ლანძღვა ისჯება

"კლივლენდის" გულშემატკივარი **მო ვადანი** სამსახურიდან დაითხოვეს მას შემდეგ, რაც შეურაცხმყოფელი შეტყობინება გაუგზავნა "გოლდენ სტეიტის" გამთამაშებლის **სტივენ კარის** დას. ვადანის "ტვიტში" შეურაცხმყოფელი სიტყვები იყო კალათბურთერის ოჯახის წევრთა მისამართით, მათ შორის, მოხსენიებული იყო კარის ქალიშვილი **რაილი**.

მოგვიანებით, ვადანის დამქირავებელმა კარის ოჯახს ბოდიში მოუხადა და შეატყობინა თავისი თანამშრომლის გათავისუფლებაზე.

რასელ უესტბრუკი

# მინუს უესტბრუკი და ჰარდენი

აშშ-ის საკალათბურთო ნაკრებმა რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადისთვის კიდევ ერთი ვარსკვლავი დაკარგა. "ოკლაჰომა-სიტის" ერთ-ერთმა ლიდერმა **რასელ უესტბრუკმა** გადაწყვიტა, მონაწილეობა არ მიიღოს 2016 წლის ზაფხულის თამაშებში. გამთამაშებელმა ეს ნაბიჯი ოჯახთან შეთახმებით გადადგა.

*"ეს რთული გადაწყვეტილებაა, განსაკუთრებით ჩემი კარიერის იმ დიადი მომენტების შემდეგ, რომელიც ნაკრებთან ერთად მქონდა 2010 და 2012 წლებში. მაგრამ ოჯახთან კონსულტაციის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ წელს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას არ მივიღებ. მოუთმენლად ველოდები ახალ შესაძლებლობას, ვითამაშო აშშ-ის ეროვნულ გუნდში",* - თქვა უესტბრუკმა.

შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, "დრიმ თიმში" თამაშზე უარი თქვეს - **სტივენ კარიმ**, **ენტონი დევისმა**, **ბლეიკ გრიფინმა**, **კრის პოლმა** და **ლამარკუს ოლდრიჯმა**. ასევე ეჭვი გამოთქვეს ნაკრებში თამაშის შესაძლებლობაზე **ლებრონ ჯეიმსმა**, **კარმელო ენტონიმ**, **ანდრე იგუოდალამ** და **კლეი ტომპსონმა**.

იმათგან, ვინ დაადასტურა რიოში გამგზავრება, არიან **დრეიმონდ გრინი**, **დემარკუს კაზინსი** და **კევინ დურანტი**.

P. S. გუშინ, კიდევ ერთმა ვარსკვლავმა თქვა უარი რიოზე. ეს არის "ჰიუსტონის" მცველი **ჯეიმს ჰარდენი**. მიზეზი, შესაძლოა, ის იყოს, რომ ჰარდენს სურს, რაც შეიძლება სწრაფად გაეცნოს "ჰიუსტონის" მთავარი მწვრთნელის **მაიკ დ'ენტონის** ტაქტიკას.

■ ■ ■

ოლიმპიადის საკვალიფიკაცო ტურნირის წინ, კანადის ნაკრებმა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორი მოთამაშე დაკარგა. კერძოდ, **ნიკ სტაუსკასმა** ("ფილადელფია") და **ენდრიუ უიგინსმა** ("მინესოტა") განაცხადეს, რომ ვერ შეძლებენ ეროვნული ნაკრების დახმარებას.

სტაუსკასს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, უიგინსს კი სურს, უკეთ მოემზადოს 2016-17 წლების სეზონისთვის. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, კანადამ დაკარგა NBA-ის კიდევ ერთი მოთამაშე **კელი ოლინიკი**, რომელსაც ოპერაცია გაუკეთეს და ჯერ ვარჯიშებიც არ დაუწყია.

ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე კანადა საფრანგეთის, თურქეთის, სენეგალის, ახალი ზელანდიისა და ფილიპინების ნაკრებს შეხვდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაგეიშვილმა**

ფორმულა 1. კანადის გრანპრი

# ჩემპიონი ისევ ბრძოლაშია

კანადის დაძაბულ გრანპრიში **ლუის ჰემილტონმა** კარიერაში 45-ე გამარჯვება მოიპოვა. მართალია, ბრიტანელმა სტარტი წააგო **სებასტიან ფეტელთან**, მაგრამ ისარგებლა იმით, რომ რბოლის მსვლელობისას, გერმანელის გუნდმა ორი პიტსტოპის ტაქტიკა აირჩია, "მერსედესმა" კი ერთი პიტსტოპის სტრატეგია აირჩია.

ეს იყო ლუისისთვის ზედიზედ მეორე მოგება. ბოლო ორი გამარჯვების წყალობით, ჰემილტონმა როსბერგთან ჩამორჩენას 34 ქულა ჩამოაკლო. ნიკო ჯერაც ლიდერობს ჩემპიონატს, მაგრამ თანაგუნდელთან უპირატესობა მხოლოდ ცხრა ქულაღა დარჩა.

ლუის ჰემილტონი

| კანადის გრანპრი (70 წრე, 305.270 კმ) | | | |
|---|---|---|---|
| 1(1). ლუის ჰემილტონი (ბრიტ) | Mercedes | 1:31.05,296 | 25 |
| 2(3). სებასტიან ფეტელი (გერ) | Ferrari | +5,011 | 18 |
| 3(7). ვალტერი ბოტასი (ფინ) | Williams | +46,422 | 15 |
| 4(5). მაქს ფერსტაპენი (ჰოლ) | Red Bull | +53,020 | 12 |
| 5(2). ნიკო როსბერგი (გერ) | Mercedes | +1.02,093 | 10 |
| 6(6). კიმი რაიკონენი (ფინ) | Ferrari | 1.03,017 | 8 |
| 7(4). დანიელ რიკარდო (ავსტრა) | Red Bull | +1.03,634 | 6 |
| 8(9). ნიკო ჰიულკენბერგი (გერ) | Force India | 1 წრე | 4 |
| 9(20). კარლოს საინსი (ესპ) | Toro Rosso | 1 წრე | 2 |
| 10(11). სერხიო პერესი (მექ) | Force India | 1 წრე | 1 |
| 11(10). ფერნანდო ალონსო (ესპ) | McLaren | 1 წრე | |
| 12(15). დანიილ კვიატი (რუს) | Toro Rosso | 1 წრე | |
| 13(13). ესტებან გუტიერესი (მექ) | Haas | 2 წრე | |
| 14(14). რომენ გროსჟანი (საფ) | Haas | 2 წრე | |
| 15(21). მარკუს ერიქსონი (შვედ) | Sauber | 2 წრე | |
| 16(22). კევინ მაგნუსენი (დან) | Renault | 2 წრე | |
| 17(17). პასკალ ვერლიაინი (გერ) | Manor | 2 წრე | |
| 18(18). ფელიპე ნასრი (ბრა) | Sauber | 2 წრე | |
| 19(19). რიო ჰარიანტო (ინდონეზ) | Manor | 2 წრე | |
| **ფინიშზე ვერ მივიდნენ** | | | |
| 10(8). ფელიპე მასა (ბრა) | Williams | 35 წრე | |
| 22(16). ჯოლიონ პალმერი (ბრიტ) | Renault | 16 წრე | |
| 9(12). ჯენსონ ბატონი (ბრიტ) | McLaren | 9 წრე | |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ნიკო როსბერგი | 116 (4) |
| 2. ლუის ჰემილტონი | 107 (2) |
| 3. სებასტიან ფეტელი | 78 |
| 4. დანიელ რიკარდო | 72 |
| 5. კიმი რაიკონენი | 69 |
| 6. მაქს ფერსტაპენი | 50 (1) |
| 7. ვალტერი ბოტასი | 44 |
| 8. ფელიპე მასა | 37 |
| 9. სერხიო პერესი | 24 |

| კონსტრუქტორთა თასი | |
|---|---|
| 1. მერსედესი | 223 |
| 2. ფერარი | 147 |
| 3. რედ ბული | 130 |
| 4. უილიამსი | 81 |
| 5. ფორს ინდია | 42 |
| 6. ტორო როსო | 32 |
| 7. მაკლარენი | 24 |
| 8. ჰაასი | 22 |
| 9. რენო | 6 |

ამბები

ჩოგბურთი

## მწვრთნელი უიმბლდონისთვის

მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა **სტენ ვავრინკამ** გადაწყვიტა თავის სამწვრთნელო შტაბში უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი **რიხარდ კრაიჩეკი** შეიყვანოს. ის შვეიცარიელ ჩოგბურთელთან ბალახის სეზონის დროს იმუშავებს.

*"ყოველთვის ვეძებ შესაძლებლობას - გავაუმჯობესო საკუთარი თამაში. ამიტომაც, გამოვიყენე შესაძლებლობა და ჩემს გუნდში შევიყვანე რიხარდ კრაიჩეკი. ის მომდევნო ოთხი კვირის განმავლობაში ბალახის სეზონის დროს დამეხმარება"*, - დაწერა საკუთარ "ფეისბუქზე" 31 წლის ჩოგბურთელმა.

ჰოლანდიელი კრაიჩეკი 1996 წელს გახდა უიმბლდონის ჩემპიონი. ვავრინკასთვის ამ ტურნირზე საუკეთესო შედეგია - მეოთხედფინალი (2014, 2015).

## ვოზნიაცკის რიოში არ უშვებენ

დანიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თებერვალში აირჩია ჩოგბურთელი **კაროლინ ვოზნიაცკი** რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე ოლიმპიური გუნდის მედროშედ, მაგრამ, ახლა ირკვევა, რომ ვოზნიაცკი არ არის დაშვებული წლევანდელ ზაფხულის თამაშებზე. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ეს გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს მატჩების არასაკმარისი რაოდენობა დაუგროვდა ფედერაციის თასზე.

დანიის ჩოგბურთის ფედერაცია ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

წელს, ვოზნიაცკიმ 15 მატჩი ჩაატარა WTA-ის ტურში და მხოლოდ რვა მოიგო. ამის გამო, ის 34-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა კლასიფიკაციაში.

ჩოგბურთი

# შარაპოვა ინგლისმა გარიცხა

მარია შარაპოვა

რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა** დოპინგის გამოყენების გამო მიღებული დისკვალიფიკაციის შედეგებს იმკის. სრულიად ინგლისის ჩოგბურთისა და კროკეტის კლუბმა მსოფლიოს ყოფილი პირველი ნომერი თავისი რიგებიდან გარიცხა, - წერს გამოცემა "ტელეგრაფი".

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, შარაპოვასთან თანამშრომლობა შეწყვიტა რამდენიმე მსხვილმა სპონსორმა.

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** მხარი დაუჭირა შარაპოვას ორწლიან დისკვალიფიკაციას.

*"როგორც ნებისმიერ ადამიანს, შარაპოვასაც აქვს უფლება დაიცვას თავისი სახელი. მაგრამ მე მხარს ვუჭერ დოპინგის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას. ასი პროცენტით უნდა იყო დარწმუნებული იმ პრეპარატებში, რომელსაც რეგულარულად მოიხმარ. უნდა იცოდე მისი ყველა ეფექტი და შედეგები. თუ ეს ასე არ არის, მაშინ მზად უნდა იყო იმისთვის, რომ პასუხი აგო"*, - განაცხადა ფედერერმა.

შვეიცარიელმა ისიც დაამატა, რომ პოტენციური დამრღვევების გამოსავლენად, საჭიროა გაიზარდოს დოპინგ-სინჯების შენახვის ვადები.

ჰოკეი

# კანადამ ლეგენდა დაკარგა

სტენლის თასის ოთხგზის მფლობელი, ლეგენდარული კანადელი ჰოკეისტი **გორდი ჰოუ** 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თავდაპირველად, ამის შესახებ დაწერა ჟურნალისტმა **კენ კემპბელმა**: *"დაუდასტურებელი ინფორმაციით, გორდი ჰოუ დილის რვა საათზე, ოჰაიოში გარდაიცვალა"*. მოგვიანებით, ინფორმაცია დაადასტურა "დეტროიტი რედ უინგზის" "ტვიტერმა".

2014 წლის შემოდგომაზე, ჰოუმ ინსულტი გადაიტანა და სხეულის ნახევარი პარალიზებული ჰქონდა. 2015 წლის იანვარში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლეგენდამ დაუხმარებლად შეძლო გადაადგილება.

გორდი ჰოუ ოთხჯერ გახდა სტენლის თასის მფლობელი "დეტროიტ რედ უინგზის" შემადგენლობაში (1950, 1952, 1954, 1955). ის ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 25 წელი თამაშობდა, სხვა ლიგებში - კიდევ 10 წელი. NHL-ში ჰოუს 1767 მატჩი დაუგროვდა. მან კარიერა 52 წლის ასაკში დაასრულა.

ფორვარდის საპატივცემულოდ გამოიგონეს განსაკუთრებული ტერმინი - "გორდი ჰოუს ჰეთ-თრიკი". ის მიეკუთვნება ჰოკეისტს, რომელიც ერთი მატჩის განმავლობაში იტანს გოლს, ასრულებს შედეგიან გადაცემას და მონაწილეობს ჩხუბში.

გორდი ჰოუ

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი
და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა
ISSN 2233-3827
9 772233 382000 16001

დაიბეჭდა
სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**
*საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში*
***238 84 44; 599 55 48 97***

მთავარი რედაქტორი **გია თვალაბეიშვილი**

მთავარი რედაქტორის მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28);** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-დან)**

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com;*** მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ბესიკ ჯანგავაძე**

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (**რედაქცია**). ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. სარეკლამო განყოფილება: **237 78 07; 2 38 78 70;** გაზეთის გამოწერა: **238 26 73.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: 237 50 03; ადგილზე მიტანა უფასოა!**